ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი №4. აპრილი. 2014.

ინტერვიუ არჩილ ხაბაძესთან

„ჩვენ თანმიმდევრულად ვმუშაობთ...“

*გაზეთ „ბათუმის უნივერსიტეტში“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის, არჩილ ხაბაძის პირველი ინტერვიუ გასული წლის აპრილში დაიბეჭდა. ურთიერთთანამშრომლობის შედეგად ჩვენ, ბატონ არჩილს, ზუსტად ერთი წლის შემდეგაც შევხვდით, ვისაუბრეთ მოგვარებულ თუ მოუგვარებელ პრობლემებზე, დავკონკრეტდით განხორციელებული და განსახორციელებელი პროექტების შესახებ. საინვესტიციო პოლიტიკა, რიგი სიახლეები სოფლის მეურნეობასა და ჯანდაცვის სისტემაში, განათლება და წიგნიერება, მაღალმთიან აჭარაში ჰესების მშენებლობის საკითხი — ეს ის საკითხებია, რომელთა შესახებაც გაზეთი „ბათუმის უნივერსიტეტი“ ბატონ **არჩილ ხაბაძეს** ესაუბრა.*

— ბატონო არჩილ, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა საქართველოს სხვა რეგიონებთან ერთად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის და განვითარების საქმეში. როგორი საინვესტიციო პოლიტიკა აქვს ადგილობრივ ხელისუფლებას უცხოური ინვესტიციების მოზიდვის კუთხით?

— მინდა გითხრათ, რომ საინვესტიციო მიმართულება საერთო სახელმწიფოებრივ ინტერესებს არ ცდება. ჩვენი გეოგრაფიული მდებარეობიდან გამომდინარე, გვაქვს მეტი ფუფუნება, რომ დავაინტერესოთ სხვადასხვა მიმართულებით ინვესტორები. ამ შემთხვევაში, ვგულისხმობ, როგორც ტურისტულ მიმართულებას, ასევე სოფლის მეურნეობას, ტრანსპორტს და სხვა სფეროებს. ის განსაკუთრებულობა, რაც ჩვენს რეგიონს გააჩნია, ტურისტული ზონაა. ქობულეთში საგადასახადო კუთხით შეღავათებიც გვაქვს, ინვესტორს შეუძლია გადასახადისგან გათავისუფლდეს. გვაქვს კონკრეტული შეთავაზებაც — თუკი სასტუმრო 100 სტუმარზე მეტი კაცისგან იქნება დაკომპლექტებული, იგი 5 წლის განმავლობაში გადასახადისაგან გათავისუფლდება. ასევე პრივატიზების დროს ვარირება შეიძლება იმაზეც, რომ ან კონკრეტულ პირთან მოლაპარაკება ვაწარმოოთ, ან კიდევ აუქციონის გზას მივმართოთ. მრეწველობის და ბიზნესის განვითარების კუთხით გეტყვით, რომ გვაქვს აეროპორტი, პორტი, რკინიგზა, გვექნება ავტობანი და ეს ყველაფერი ერთად მობილიზებული აჭარაში, ძალიან მიმზიდველია ინვესტორისთვის. ვმუშაობთ, ვქმნით, გავცდით გეოგრაფიულ არეალს, ვთანამშრომლობთ თურქეთთან, რუსეთთან, აზერბაიჯანთან, უკრაინასთან, თუმცა ამ უკანასკნელში არსებულმა პოლიტიკურმა მოვლენებმა, განსაკუთრებით იმოქმედა ინვესტორებზე. საბოლოოდ კი, ჩვენთვის პრიორიტეტი მაინც ტურიზმი და სოფლის მეურნეობაა.

— სოფლის მეურნეობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია არა მხოლოდ რეგიონის, არამედ ქვეყნის მასშტაბითაც. რა სტრატეგია აქვს არჩეული აჭარის ა.რ. მთავრობას სოფლის მეურნეობის პროდუქციის შესყიდვა, გადამუშავებასა და რეალიზაციასთან დაკავშირებით?

— პირველ რიგში, უნდა ითქვას, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო რასაც აკეთებს საერთო სახელმწიფოებრივი პროგრამის ფარგლებში, ჩვენზეც ვრცელდება, თუმცა გვაქვს იმის საშუალება, რომ აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტრომ დამოუკიდებლად დაგეგმოს ბიუჯეტი და განახორციელოს სხვადასხვა პროგრამა, რაც მხოლოდ აჭარაში განხორციელდება.

ამ მხრივ, 2013 წელს რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა განვახორციელეთ. ერთ-ერთი იყო მიწის ანალიზის საკითხი, რაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ აუღიათ. მაგალითად, მემცენარეობა რომ განავითაროთ, მიწა უნდა შეისწავლო. ნაყოფის მოყვანის თვალსაზრისით სხვადასხვა წინააღმდეგობას ვაწყდებით. მაგალითად, მანდარინს ფერი არ აქვს, მცენარე დაზიანებულია, არ არის კარგი ნაყოფი, — სწორედ ამ სირთულეების ფონზე, აუცილებელია მიწის ანალიზი. რამდენადაც მახსოვს, ქობულეთსა და ხელვაჩაურში ათასი სინჯი, ხოლო მაღალმთიან აჭარაში სამი ათასი სინჯი ჩატარდა. მივედით დასკვნამდე, რომ მიწა ძირითადად კალიუმის ნაკლებობას განიცდის. ამით იმის თქმა მინდა, რომ ჩვენი მიზანი თანმიმდევრული მოქმედებაა. თუკი მიწის ანალიზმა გვიჩვენა, რომ კალიუმი აუცილებელია, წელს ვგეგმავთ კალიუმის მიწოდებას და მიწის განაყოფიერებას. გასულ წელს ხუთი კორპორაცია შევქმენით, შემდეგ ეს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომაც გააკეთა. ამით მცირე მიწების გაერთიანება გვინდოდა. მაგალითად, ეს ჩვენ ქედაში ყოფილი კოლმეურნეობის ბაზაზე გავაკეთეთ და რამდენადაც მახსოვს, 160 კომლი არის გაერთიანებული. ამით კი იმის თქმა მინდა, რომ თუკი ფერმერი და მიწის ნაკვეთები არ გაერთიანდება, ტრაქტორის შეყვანა ძვირი დაჯდება.

მეფუტკრეობის მიმართულებით შარშან სკები დავამზადებინეთ. მოთხოვნის ზრდის გამო, იმავეს წელსაც ვაგრძელებთ. წელს რიგი დანადგარები უნდა შემოვიტანოთ, რათა მოსახლეობამ დაინახოს, რომ ბევრი რამის გაადვილება შესაძლებელია. მყიდველი მხოლოდ 30 პროცენტს გადაიხდის, დანარჩენს კი სახელმწიფო. ერთ პროგრამას მეორე მოყვება, მეორეს მესამე... ჩვენ თანმიმდევრულად ვმუშაობთ.

გვინდა თაფლის ლაბორატორიის გახსნაც. მართალია, ძვირადღირებული დანადგარებია შესაძენი, მაგრამ ბიუჯეტში ცვლილებას შევიტანთ, რადგან ეს აუცილებლია. ეს ლაბორატორია უმნიშვნელოვანესი იქნება, რადგან სერტიფიკატს თუ დასკვნას, რომელსაც იგი გასცემს,თაფლის ექსპორტზე დადებითად აისახება.

— რამდენად არის შესაძლებელი ჩვენს რეგიონში მეცხოველეობის განვითარება და ხომ არ ფიქრობს ხელისუფლება ამ მიმართულებითაც კონკრეტული ნაბიჯების გადადგმას?

— ჩვენი რეგიონის პირუტყვი ცოტას იწველება, ამიტომ აუცილებელია სხვადასხვა ჯიშთან შეჯვარება. ჩვენ ხელოვნური განაყოფიერების სპეციფიკა დავნერგეთ და ჯერ კიდევ ერთი თვის წინ, საერთო ჯამში 120 ხბო გვყავდა მოგებული. ხორცის ჯიში იქნება თუ წველადობის ზრდა, ორივე უნდა გამოსწორდეს. ეს ძალიან მნიშვნელოვანი პროექტია. უნდა ვიცოდეთ, რომ შედეგი ერთ წელში, მხოლოდ ერთ სეზონზე ვერ მიიღწევა.ამ მხრივ სტატისტიკურ ანალიზს ვაკეთებთ, რათა სამომავლოდ ინვესტორს შევთავაზოთ, რომ კონკრეტული მიმართულებით ბაზარი თავისუფალია. პროექტით დაინტერესებულნი არიან და ველოდებით მომგებიან ინვესტიციას.

მეციტრუსეობის მხრივ, მომავალი სეზონისთვის გვინდა, რომ ხელვაჩაურში გადამამუშავებელი საამქრო გვქონდეს. მსგავსი ქობულეთში უკვე ფუნქციონირებს, რომელმაც ჩვენი

(გაგრძელება მე-3 გვერდზე)

დედამიწის დღე

ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგრარული მიმართულების სტუდენტებმა დედამიწის დღე ტრადიციულად სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნეს. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრონომიის სპეციალობის მეორე კურსის სტუდენტებმა გამოუშვეს კედლის გაზეთი „გავუფრთხილდეთ დედამიწას“ და გამართეს მოკლემეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმის - „ანთროპოგენური ზემოქმედების შედეგები ბუნებაზე“ ჩვენება. საქართველოს ეროვნული აკადემიის წევრ-კორესპონდენტმა, პროფესორმა ვანო პაპუნიძემ ლექცია წაიკითხა თემაზე: „დედამიწაზე არსებული გარემოს დაცვის გლობალური პრობლემები“. ღონისძიებების დასასრულს, სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა უნივერსიტეტის საცდელ ნაკვეთზე დარგეს 70-ზე მეტი მრავალწლოვანი ხის ნერგი.

ბსუ-ს ტურიზმის ფაკულტეტის 6 სტუდენტი სასწავლებლად ნორვეგიაში გაემგზავრება

ტურიზმის ფაკულტეტმა ერთობლივი პროექტის „ნორვეგიაში, საქართველოსა და ყირგიზეთში ტურიზმის მდგრადი განვითარებისა და ინოვაციების სფეროში განათლება“ განხორციელების მესამე ეტაპი დაიწყო. პროექტით გათვალისწინებულია ტურიზმის ფაკულტეტის 6 სტუდენტის სწავლება (ერთი სემესტრი) ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტში „ტურიზმის მენეჯმენტის“

სპეციალობაზე. კონკურსი გაიმართა შემდეგი პირობებით: ინგლისურ ენაში ტესტირება, კომუნიკაციის უნარი, კულტურათაშორისი კომუნიკაციის უნარი და საშუალო აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი. კონკურსში მონაწილეობა 62 სტუდენტმა მიიღო, მათგან პირველ ეტაპზე 16 სტუდენტი გადავიდა. ჯგუფთან 7 აპრილიდან 12 აპრილამდე ნორვეგიის ტელემარკის უნივერსიტეტის პროფესორებმა თემურ აბესაძემ და ფრუდე ლიენგიმ ტრენინგები ჩაატარეს და 6 საუკეთესო კონკურსანტი შეარჩიეს. სტუდენტები: მინდია კურცხალიძე, ანა ჯაფარიძე, ანა სანიკიძე, ვახტანგ გვენეტაძე, ირმა დოლიძე და გიორგი გელაძე სწავლას ნორვეგიაში 20 აგვისტოდან განაგრძობენ. უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ალიოშა ბაკურიძემ და ტურიზმის ფაკულტეტის დეკანმა როსტომ ბერიძემ სტუდენტებს გამარჯვება მიულოცეს და წარმატებები უსურვეს.

საერთაშორისო სავაჭრო პალატის პროექტის წარდგინება

ბათუმის შოთა რუსთაველი სახელმწიფო უნივერსიტეტში ახალგაზრდული უმაღლესი საბჭოს ორგანიზებით საერთაშორისო სავაჭრო პალატის პროექტ ICC Youth Georgia-ს პრეზენტაცია ჩატარდა. პროგრამა მიზნად ისახავს წარმატებული, აქტიური სტუდენტების ჩართვას ბიზნეს პროექტებში, ახალგაზრდებისათვის გამოცდილების გაზიარებას, პროფესიული უნარ-ჩვევების განვი-

თარების ხელშეწყობას, დასაქმებასა და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერას. საუკეთესო სტუდენტური პროექტები კომპანიის მხარდაჭერით განხორციელდება. საერთაშორისო სავაჭრო პალატის ახალგაზრდულ პროექტში ქვეყნის შვიდი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტები არიან ჩართული.

კონსულტაცია ღია და მონაწილეობითი საჯარო მმართველობის საკითხებზე

იუსტიციის სახლის აღმასრულებელი დირექტორის მოადგილემ ირაკლი ლომიძემ, იუსტიციის სამინისტროს ანალიტიკური დეპარტამენტის წარმომადგენელმა ლაშა მორგოშიამ, ინფორმაციის თავისუფალი განვითარების ინსტიტუტის (IDFI) თავმჯდომარემ ლევან ავალიშვილმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენელმა სულხან სალაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის კონსულტაცია გამართეს ღია და მონაწილეობითი საჯარო მმართველობის საკითხებზე. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ორგანიზებული შეხვედრა მიზნად ისახავდა საზოგადოების ინფორმირებულობასა და მის ჩართვას მთავრობის ორწლიანი ერთიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებაში. კონსულტაციის მონაწილეებმა წინა წლებში განხორციელებული პროექტები შეაჯამეს და გამჭვირვალე, ღია მმართველობის ხელშემწყობი პრიორიტეტები განიხილეს.

ევროპის აკადემიური ცენტრის გაცვლითი პროგრამების პრეზენტაცია გაიმართა

ევროპის აკადემიური ცენტრის პრეზენტაცია გაიმართა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ევროპის აკადემიური ცენტრის დამფუძნებლებმა ეთერ სანაიამ და ბექა ქანთარიამ სხვადასხვა სპეციალობის სტუდენტებს გაცვლითი პროგრამები, ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში მიმდინარე გაეროს მოდელირების პროგრამები, მადრიდის, ლონდონის, პრაღის საზაფხულო სკოლებისა და სტაჟირების პროექტები წარუდგინეს. ორგანიზაცია ახალგაზრდებს ასევე სთავაზობს ტრენინგ-კურსების გავლას, სწავლის გაგრძელებას უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში, დისტანციურ სწავლებასა და მონაწილეობის მიღებას საერთაშორისო კონფერენციებში.

ფესტივალი – „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტმა ფესტივალში - „პროფესიული განათლება დასაქმებისთვის“ მიიღო მონაწილეობა. ტურიზმის ფაკულტეტის დეკანის მოადგილემ მერაბ დიასამიძემ, სტუდენტთა მომსახურებისა და მხარდაჭერის სამსახურის უფროსმა რევაზ ოკუჯავამ და სტუდენტმა ვახტანგ ასათიანმა დაინტერესებულ პირებს უნივერსიტეტის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, სწავლების პირობები და პარტნიორი დამსაქმებელი კომპანიები გააცნეს. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ორგანიზებულ ფესტივალში 31-მდე საგანმანათლებლო დაწესებულება მონაწილეობდა.

1989 წლის 9 აპრილი

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა 1989 წლის 9 აპრილს მთავრობის სასახლესთან საქართველოს დამოუკიდებლობისათვის დაღუპული გმირების ხსოვნას პატივი მიაგეს. 25 წლის წინ განვითარებულ მოვლენებს მიეძღვნა სტუდენტთა კონფერენცია თემაზე: „9 აპრილი - სისხლით დამძიმებული თავისუფლება“. ტრაგიკული მოვლენების ამსახველი ფოტოქრონიკის ჩვენების შემდეგ სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა კიდევ ერთხელ გაიხსენეს ტრაგიკულ ღამეს დაღუპული გმირები, მათი ხსოვნის უკვდავსაყოფად სანთლები დაანთეს, ზღვისპირა პარკში მანათობელი ფრანები გაუშვეს და მემორიალი ტიტებით შეამკეს.

სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალ „მაჭახლის“ წარდგინება

შოთა რუსთაველის დარბაზში სამეცნიერო-პოპულარული და საზოგადოებრივი ჟურნალ „მაჭახლის“ ახალი ნომრის პრეზენტაცია და ჟურნალისტ გოდერძი შარაშიას დოკუმენტური ფილმის “მაჭახლის აკვანი” ჩვენება შედგა. ჟურნალი ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტმა გამოსცა და „მაჭახლობის“ სახალხო დღესასწაულს ეძღვნება. „მაჭახელი“ მკითხველს სიახლით გამორჩეულ სხვადასხვა თემატიკის სტატიებს, ინტერვიუებსა და ხეობის ცხოვრების ამსახველ მასალებს სთავაზობს. ჟურნალში გამოქვეყნებულია მაჭახლის, კირნათის, ახალსოფლის სოფლების სამეურნეო და კულტურული ცხოვრების ამსახველი წერილები, ზემო მაჭახლის მეტყველების ნიმუშები, მაჭახლელ მუჰაჯირთა დასახლებებისა და განსახლების ისტორია, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სიახლეები. წარდგინება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ხელვაჩაურის მუნციპალიტეტის ორგანიზებით გაიმართა.

მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ სტუდენტებს პრემიერ-მინისტრის საგანმანათლებო ინიციატივები გააცნო

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ნინო კობახიძემ ბსუ-ს სტუდენტებისათვის საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის საგანმანათლებლო ინიციატივების წარდგინება გამართა. საგანმანათლებლო ინიციატივები საერთაშორისო განათლების ცენტრის შექმნას, საჯარო სამსახურში წარჩინებული სტუდენტების სტაჟირებასა და სოციალურად დაუცველი სტუდენტებისთვის საერთო საცხოვრებლის აშენებას ითვალისწინებს. ნინო კობახიძემ წარდგინებისას ყურადღება გაამახვილა ასევე საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ უმთავრეს პრიორიტეტზე - განათლებაზე და მისი განვითარების პერსპექტივებზე. საგანმანათლებლო ინიციატივების წარდგინების შემდეგ შეხვედრა კითხვა-პასუხის რეჟიმში წარიმართა და მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ სტუდენტების კითხვებს უპასუხა.

(დასაწყისი პირველ გვერდზე)

„ჩვენ თანმიმდევრულად ვმუშაობთ...“

მოლოდინი გაამართლა. აღნიშნული საამქრო მხოლოდ ციტრუსზე არ იქნება ორიენტირებული, რადგან მისი სეზონი მხოლოდ 2-3 თვეს მოიცავს. მთელი წლის განმავლობაში შესაძლებელი იქნება ხილის სხვადასხვა სახეობის გადამუშავება.

გვსურს, ქედის რაიონში, მეთამბაქოეობის აღორძინება. ვგეგმავთ, თამბაქოს ექსპორტს. ამ მხრივ, არის დაინტერესება და ვფიქრობთ, უახლოეს მომავალში ბევრი რამ შესაძლებელი იქნება.

ასევე ვგეგმავთ, წვენების გადამამუშავებელი ქარხნის გახსნასაც. ვფიქრობთ, ხელვაჩაურის საამქრო ამას ვერ შეითავსებს, ამიტომ მას ალბათ შუახევში გავხსნით. რამდენადაც ვიცი, იგი ადრე ქედაში, სოფელ ზვარეს მიმდებარე ტერიტორიაზე წარმატებით ფუნქციონირებდა. ხელი უნდა შევუწყოთ, მევენახეობის განვითარებასაც. ქედაში ღვინის ქარხნის მშენებლობაც იგეგმება.

— გადავინაცვლოთ ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა ჯანდაცვა. როგორია ჩვენს რეგიონში ამ მიმართულებით გადადგმული ნაბიჯები და რაიმე სიახლეები ხომ არ იგეგმება?

— ჩვენი სურვილია, იმ 7 მილიონიანი ბიუჯეტით, რომელიც აქვს ჯანდაცვას, სხვა მიმართულებებიც უზრუნველვყოთ. საყოველთაო ჯანდაცვა, მართლაც უმნიშვნელოვანესი მოვლენა იყო ჩვენთვის. აუცილებელია გადაუდებელი შემთხვევების დროს დახმარება. წელს პირველად დავიწყეთ იმ პროგრამაზე მუშაობა, რომელიც დიაბეტით დაავადებულთა მკურნალობას ითვალისწინებს. ჯანდაცვის სამინისტრო ერთადერთია, რომლის მისამართითაც მოსახლეობის მხრიდან პრეტენზია არ მსმენია. ამაზე ვერც ოპოზიცია იღებს ხმას. თითოეული აქაური პაციენტი საერთო სახელმწიფოებრივი დაზღვევით სარგებლობს. ამის გარდა, ფუნქციონირებს მთავრობის თავმჯდომარის ფონდი, შარშან 300 000 ლარი დავხარჯეთ. 2013 წელს ჯანდაცვის სფეროში საუკეთესო შედეგი გვქონდა. წელს პირველად ჩავატარეთ ბათუმის მასშტაბით ბავშვებისთვის სქოლიოზის უფასო გამოკვლევები. ასე რომ არ გავაკეთოთ, ეს 10-15 წლის შემდეგ ბიუჯეტიდან დიდ ხარჯს მოითხოვს. ასეთი წინდახედული პროგრამები ხორციელდება ჩვენთან.

სოციალური პროგრამების შესახებაც მოგახსენებთ. თუკი ადრე 100 წელს გადაცილებულ ადამიანებს 500 ლარს ჩუქნიდნენ, წელს ეს თანხა 1000 ლარამდე ავიყვანეთ. ასევე დახმარებას გავცემთ ყოველ მესამე და შემდგომ შვილზე, ტყუპებზე...

გავხსენით სისხლის ბანკი, აშენდება კერძო საავადმყოფოები. ბაგრატიონის ქუჩაზე უცხოელი ინვესტორების მიერ საუნივერსიტეტო კლინიკის აგება იგეგმება, სადაც სხვადასხვა მიმართულებით გადამზადება იქნება შესაძლებელი. ბევრი რამ იგეგმება და რამდენიმე წლის შემდეგ, ჩვენ თანამედროვე აპარატურით აღჭურვილი კლინიკების პრობლემა აღარ გვექნება. ჩვენი ამოცანაა რესპუბლიკური საავადმყოფოს მოწესრიგება, რომელიც იქნება მრავალფუნქციური, რეგიონალური და შეგვეძლება კონკურენციის გაწევა. ეს ყველაფერი 16 მილიონი დოლარი ჯდება, აქედან ნახევარი — აპარატურის შესაძენად არის საჭირო.

— უდიდესია განათლებისა და წიგნიერების როლი ქვეყნის განვითარების საქმეში. ბევრ პროფესიას უკვე სახელმწიფო აფინანსებს და საუნივერსიტეტო განათლება ფაქტიურად ცალკეული დარგების მიხედვით, უფასოა. როგორ უდგას გვერდით ამ მხრივ აჭარის ა.რ. მთავრობა ჩვენს რეგიონში არსებულ უმაღლეს სასწავლებლებს?

— მოგეხსენებათ, უნივერსიტეტები ცენტრალიზებულია და საქართველოს განათლების სამინისტროს მიერ იმართება. ჩვენ არ გვაქვს მათი მართვის უფლება, როგორც კანონში წერია, შეგვიძლია ხელშემწყობი ღონისძიებების დაფინანსება. გვქონდა საუბარი სოციალურად დაუცველ და წარჩინებულ სტუდენტთა დაფინანსების შესახებ, მაგრამ თუკი მხოლოდ სოციალურად დაუცველია და კარგად არ სწავლობს, მას არ ვაფინანსებთ. ჩვენ განათლების სისტემას ნამდვილად ვეხმარებით და წელს მილიონ ნახევარი ლარი შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს გამოვუყავით. რაც შეეხება საზღვაო აკადემიას, ჩვენ მისი შენობის მოვლას უზრუნველვყოფთ. იგი არქიტექტურული ნაგებობაა, მაგრამ რადგანაც ის ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექვემდებარება, მათ 2 მილიონ ნახევარი ლარით დააფინანსეს. ასევე, თამარის დასახლებაში არსებული შენობა უნივერსიტეტს ჩვენ გადავეცით. აღნიშნული ობიექტი და ქობულეთში მდებარე ლაბორატორია მანამდე ეკონომიკის სამინისტროს ექვემდებარებოდა. ეს მაშინ წინა ხელისუფლების მოთხოვნა იყო, რომელსაც უნივერსიტეტის მენეჯმენტი ემორჩილებოდა. ეს არასწორია და ჩვენ გამოსწორებას ვცდილობთ.

უნივერისტეტი დამოუკიდებელი უნდა იყოს და სულ ხელგამოწვდილი ვერ იქნება. ჩვენ არ გვაქვს იქ აუდიტის შეყვანის უფლება, რადგან იგი ჩვენ არ გვექვემდებარება. თუმცა, იქ კადრებს ნაცნობობით და მეგობრობით არ უნდა ასაქმებდნენ და არც პოლიტიზირებული უნდა იყოს. მაქსიმალურად ვცდილობ, რომ არ ჩავერთო, მაგრამ ეს ხომ უნდა დასრულდეს? ერთია, რომ სტუდენტს და ლექტორს გააჩნია ინდივიდუალური შეხედულება ამა თუ იმ მოვლენის მიმართ, მაგრამ ზოგადად, მისი პოლიტიზირება უნდა დასრულდეს. იქ არ უნდა არსებობდეს დაჯგუფებები და პოლიტიკურად აქტიური პირები. მათი მთავარი მოვალეობაა სასწავლო პროცესის წარმართვა და განათლების მიღება, პოლიტიკური განცხადებებისთვის კი, დრო არ უნდა ჰქონდეთ. ძალიან დიდ პატივს ვცემ ყველას, მეც მანდ მივიღე განათლება. ჩვენ სოციალურად დაუცველ და წარმატებულ სტუდენტთა დახმარებით ორმაგ საქმეს ვაკეთებთ — ერთი, რომ უნივერსიტეტს სტუდენტი არ აკლდება და მეორე მხრივ, ჩვენ ვუწყობთ ხელს ნიჭიერ სტუდენტებს, რადგან მათ პოტენციალს სამომავლოდ გამოვიყენებთ. 238 სტუდენტი ფინანსდება ამ სემესტრში 1125 ლარით. დარწმუნებული ვარ, ეს ფონდი რომ არა, მათი 30-50% მაინც უნივერსიტეტში სწავლას ვერ გააგრძელებდა. უნივერსიტეტმა კარგად უნდა გაიცნობიეროს, რომ ჩვენ ამ კუთხით მათ ვეხმარებით და ეს ძალიან მნიშვნელოვანია.

— მაღალმთიან აჭარაში ჰესების მშენებლობის საკითხი საკმაოდ ხმაურიან თემად იქცა. თქვენი მოსაზრება ამის თაობაზე...

— ძალიან მნიშვნელოვანია იგი ჩვენი რეგიონისთვის და მთლიანად საქართველოსთვის. ჩვენ ვვითარდებით, ენერგომომსახურება იზრდება და შესაბამისად, ქვეყანამ უნდა უპასუხოს ამ გამოწვევას. უნდა შევქმნათ ახალი ჰესები, რომ გვქონდეს ელექტროენერგია, ამისთვის ყველაზე იაფი, პრაქტიკული და ერთადერთი წყარო არის ჰესების არსებობა. გვინდა გავხსნათ ფაბრიკა-ქარხნები და მოვიზიდოთ უცხოელი ინვესტიციები, ამას კი აუცილებლად სჭირდება ელექტროენერგია. ეს არამარტო სადღეისო, არამედ სამომავლო გათვლაა. ასევე მნიშვნელოვანია ის, რომ თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ თითოეულ თემს და სოფელს ჰქონდეს თავისი ბიუჯეტი. ჩვენი ვარაუდით, ყოველწლიურად სახელმწიფო ამ ჰესიდან 20 000 000 ლარის ოდენობით სარგებელს მიიღებს. თურქულ კომპანიას თავისი ინტერესები აქვს, უნდა რომ პროექტი მომგებიანი იყოს და ეს ბუნებრივიცაა. მისი მხრიდან ჩადებულია 600 000 000 ლარი. ჩვენ კი, ამდენი შეხვედრის შემდეგ მივედით იმ დასკვნამდე, რომ ის რაც ბუნებრივად მიმდინარეობს, წინ ვერაფერი აღუდგება, ეს პროცესი არაფერს არ დააჩქარებს, პირიქით... ამით შეიძლება ბევრ მოვლენას ხელი შევუშალოთ. ინვესტორი ხომ თავისი ქონების განადგურებას არ დაუშვებს?!

მოკლედ, მოლაპარაკებები კვლავ მიმდინარეობს. პროცესში სამი მხარეა ჩართული: მოსახლეობა, კომპანია და სახელმწიფო. შესაბამისად, ყველა მის წილ ვალდებულებაზეა პასუხისმგებელი. ყველაფერი სამართლებრივად მოგვარდება.

ქართული ენის სწავლება საჯარო სკოლებში

ქართული ენის სწავლება ისევ აქტუალურია. მოსწავლეთა, მასწავლებელთა და ზოგადად მოქალაქეთა სინანულს იწვევს ის, რომ სკოლებში ქართული ენის გრამატიკა ცალკე საგნად აღარ ისწავლება. აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით სწორედ პედაგოგებისა და მოსწავლეების მოსაზრებებს გთავაზობთ:

დათო აბულაძე (მოსწავლე): „ჩემი აზრით, უფრო კარგი იქნება თუ ცალკ-ცალკე საგნად ვისწავლით ქართულ ენასა და ლიტერატურას, რადგან გრამატიკის ცოდნის დონე ბავშვებში ძალიან დაბალია. თუ გვინდა რომ გამოსწორდეს ქართული ენის არცოდნა, უნდა გატარდეს შესაბამისი ღონისძიებები“.

ქეთევან ქედელიძე (სტუდენტი): „მე იმ თაობის წარმომადგენელი ვარ, რომელიც შეესწრო ენისა და ლიტერატურის ცალ-ცალკე სწავლებას, რაც ძალიან მომწონდა, რადგან გრამატიკის სწავლას ნამდვილად სჭირდება განსაკუთრებული მიდგომა და ყურადღება. მით უმეტეს, ქართული მშობლიური ენაა და პრაქტიკული გრამატიკის ცოდნა თითოეული ჩვენგანის მოვალეობაა. შევესწარი ენისა და ლიტერატურის გაერთიანების პროცესსაც, რაც უარყოფითად აისახა მოსწავლეებზე“.

ხათუნა სოლომონიძე (სტუდენტი): „ქართული ენის სწავლებასთან დაკავშირებით ძალიან უკმაყოფილო ვარ, რადგან თითქმის არ ისწავლება. მიმაჩნია, რომ გრამატიკის სწავლებას თავისებური მიდგომა სჭირდება. ის მეთოდები, რომლებსაც ლიტერატურული ნაწარმოების ახსნისას იყენებს მასწავლებელი, არ არის გამართლებული ენის სწავლების დროს. გრამატიკა დამოუკიდებელი დისციპლინაა, რომელსაც სჭირდება განსაზღვრული დრო. ლიტერატურასთან გაერთიანებამ კი, გრამატიკის უგულებელყოფამდე მიგვიყვანა. სამწუხაროა, რადგან მშობლიური ენის არცოდნა უწიგნურობის მაჩვენებელია“.

თამთა გოლძვაძე (მოსწავლე): „არ მომწონს, რადგან მეტი ყურადღება ექცევა ლიტერატურის სწავლებას. სახელმძღვანელოში თითქმის არაა შეტანილი გრამატიკული მასალა. ამით ჩვენ, მოსწავლეები, ვზარალდებით. ეს ძალიან ცუდია, რადგან ლიტერატურასაც აკლდება დრო. ვფიქრობ, ენა და ლიტერატურა ცალკ-ცალკე უნდა ისწავლებოდეს“.

ხათუნა თავართქილაძე (მასწავლებელი):

„სასურველია, სახელმძღვანელოს შექმნისას გაითვალისწინონ მოსწავლეთა ასაკი. ამასთანავე, იგი გათვლილი უნდა იყოს ყველა დონის მოსწავლისთვის. კარგი იქნება, თუ სახელმძღვანელოები მეტი პრაქტიკული დავალებით დაიტვირთება“.

ლერი ქედელიძე (მოსწავლე): „გრამატიკა ძალიან ძნელი საგანია. ცალკე საგნად როცა ისწავლებოდა მაშინ უჭირდათ ბავშვებს გაგება. მიმაჩნია, რომ ქართული ენა და ლიტერატურა ცალკ-ცალკე უნდა ისწავლებოდეს, ენის ცოდნის დონე ძალიან დაბალია“.

ნათია ვასაძე,
ქართული ფილოლოგიის სპეციალობის მეოთხე კურსის სტუდენტი

ქართული ენა არის ღრმა, უნაპირო, ბრძენი, თავმდაბალი და მიუწვდომელი, ვითარცა გონება და სიყვარული. მისი სათავე ისევე უცნობია, როგორც მელქისედეკ მამამთავრისა. მასშია მთელი საქართველო. გაზაფხულზე გაშლილი ვარდივით მშვენიერია იგი და ახლად-ამოსული მზის ცხოველსმყოფელი სხივივით საამო, ცისფერია მისი სამოსი, ზეცაა მისი საწყისი, უფალია მისი მშობელი და მფარველი. სიტყვა მისი მჭრელია, ვითარცა დავით აღმაშენებლის ხმალი, ძლიერია, როგორც სვეტი ცხოველი და ნაზი, ვით ყვავილზე მარგალიტად დაკიდული დილის ნამი.

ილია II,
სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი

ქართულად ხსნილად უბნობდი!

მშობლიურ ენაზე ზრუნვის, მისდამი შეუნელებელი ყურადღების სულისკვეთებითაა გამსჭვალული წიგნი, რომელიც ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტის ემერიტუს პროფესორის, ქალბატონი მერი ცინცაძის მრავალწლიანი შრომის ნაყოფია. **ქართულად ხსნილად უბნობდი!** ასე ჰქვია ამ წიგნს... შესავალში მოთხრობილია ეპიზოდი გიორგი მთაწმიდლის „იოანეს და ეფთვიმეს“ ცხოვრებიდან, რომ ეფთვიმე ყრმობაში მეტად მძიმედ გამხდარა ავად. მამა, იოვანე, ღვთისმშობელს შვილის გადარჩენას შესთხოვდა. ავადმყოფს ვინმე დედოფალი დასდგომია თავს და უთქვამს: „არარაი არს ვნებაი **ქართულად ხსნილად უბნობდი!** შენ თანა, აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი. ეფთვიმე, რომელსაც ბიზანტიაში ცხოვრების გამო ქართული აღარ ახსოვდა, დედაენაზე ალაპარაკებულა და გადარჩენილა კიდეც. ავტორის სათქმელიც ესაა - ქართული ენის ცოდნას სასწაულის მოხდენა, ერის გადარჩენა შეუძლია, შეუძლია გაუძლოს გლობალიზაციის გამოწვევებს და ღირსეულად დადგეს სხვა ცივილიზებულ ერთა გვერდით.

მოდით, ჩვენც ქართულად ხსნილად, სწორად, თავისუფლად ვიუბნოთ, - მოგვიწოდებს ავტორი და ძალუმად ცდილობს წმინდა, ფაქიზი, შეურეველი ენობრივი სამყაროს შექმნას.

წიგნი ყურადღებას იქცევს მწვავე, საჭირბოროტო საკითხების დასმით და ორიგინალური გადაჭრით. შესავალში მოცემულია ქართული ენის მდგომარეობის შესახებ ავტორიტეტულ პირთა, მშობლიური ენის მოამაგეთა მოსაზრებანი. ზოგიერთი მათგანი მეტად მტკიცე არგუმენტია. მათი წაკითხვა უცილობლად აღაშფოთებს ყველანაირი რანგის მკითხველს. საილუსტრაციოდ მხოლოდ რამდენიმეს მოვიყვანთ: „სამწუხაროდ, დღეს საყველპურო ინგლისურის ცოდნა უფრო ფასობს, ვიდრე დარბაისლური ქართულისა, განგაშის ზარების დარისხების დრო“, - წუხს პროფ. გ. გოგოლაშვილი.

წიგნის შედგენის პრინციპი ასეთია: ავტორი ქართული პრესის ენაში შემჩნეულ ტიპობრივ მასალას წყაროს მიუთითებლად იმოწმებს და მკითხველს აწვდის სწორ ფორმას, ქართული ენისთვის ბუნებრივ, სწორ კონსტრუქციას მოკლე კომენტარითურთ. ავტორი იტოვებს იმედს, რომ ჟურნალისტები იცნობენ მათ მიერ შედგენილ ფრაზებს, წაიკითხავენ კომენტარებსაც და უთუოდ იზრუნებენ შეცდომების გამოსასწორებლად.

განსაკუთრებით შემაშფოთებელია მასმედიის ენა. აი, კომენტარები, მოხმობილი წიგნის შესავალში: სპარტაკ ქობულია წერს, თუ როგორი, უცხო სიტყვებით გაჯერებული, მჭლე ქართულით მეტყველებენ ჩვენი ჟურნალისტები, რა აჯაფსანდალია ყვითელ პრესაში.

„უსმენ დღევანდელ ტელეწამყვანებს და იშვიათი გამონაკლისის გარდა ვერ გაიგებ, აქაური ქართველი გელაპარაკება, თუ უცხოელი, რომელსაც ახლახან უსწავლია ქართული“, — წერს იოსებ ჭუმბურიძე.

დღესაც ბევრი ლაპარაკობს ქართულს უცხოელივით, გეგონება, მივლინებით ჩამოსული უცხოელია, რომელსაც საყველპურო ქართული უსწავლია სადღაც.

საყველპურო ქართული და საყველპურო ინგლისური... ეს უკანასკნელი დროის საზოგადო ჭირია, რომელიც აფერხებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და კულტურულ აღმავლობას.

წიგნი პოპულარული სტილითაა დაწერილი. პირველ თავში საუბარია სიტყვის მნიშვნელობისა და კონტექსტში მისი სწორად გამოყენების საკითხის შესახებ. მკითხველის ყურადღებას იპყრობს ე. წ. „ჩამძირავ სიტყვათა“ ჯგუფი. ეს ის სიტყვებია, რომლებმაც გაიფართოვეს მნიშვნელობა სხვა სიტყვათა სემანტიკის შევიწროების ხარჯზე. მაგ.: **რთულმა** ჩაძირა, ჩაყლაპა **ძნელი** და მისი ანტონიმები - **ადვილი, იოლიც** ჩააყოლა; სიტყვა **საუბარმა** თითქმის ყველა ტექსტში ჩაძირა **„ლაპარაკი“, „მეტყველება“, „გამოთქმა“.**

აქვე განხილულია პლეონასტური ფრაზები: **კარგი შეღავათი, წინასწარი პროგნოზი, სამომავლო პერსპექტივა, მთავარი პრიორიტეტი, მცდარი ილუზია, ხელისშემშლელი ბარიერი, ცრუ ილუზია.** იყენებს მავანი წერასა და საუბარში ასეთ ფრაზებს და არასდროს უფიქრდება იმას, რომ მაშინ უნდა არსებობდეს **ცუდი შეღავათი, სწორი ილუზია, ხელის შემწყობი ბარიერი, წარსულის პერსპექტივა ან კიდევ პროგნოზის გაკეთება მოვლენის დასრულების შემდეგ შეიძლებოდეს.**

აქვე უნდა დავასახელოთ ზმნიზედების ზედმეტად გამოყენებაც: **პრობლემებს კარგად ვაგვარებ, კარგად აუღო ალღო, გადაწყვეტილება ძალიან მყარად მივიღე.**

ზმნა შეუფერებელია შემდეგ სინტაგმებში: **პრინციპის შეფერხება, ხარვეზის მოგვარება, პრობლემის აღმოფხვრა, თანხების გაწევა, ნდობის ჩამოშლა, რაოდენობის მომრავლება, ფაქტის გახსნა, ზარების გაკეთება. შეუფერებელია სახელი: უფლების აკრძალვა, სურვილის გამოთქმა, დანაშაულის განახევრება.**

საგანგებო ყურადღება ეთმობა პრესაში მომრავლებულ უჩვეულო ზმნებსა და სახელზმნებს, რომელთაც ავტორი „ნეოლოგიზმებში“ აერთიანებს: **დაანონსება, დებატობა, დიეტობა, გაინტერნაციონალება, მღვიძარება, პოლემიკობა...** განსაკუთრებით საინტერესოა შტამპებისა და აღწერითი კონსტრუქციების ნუსხა, რომელიც შრომას დამატების სახით უკომენტაროდ დაერთვის: **ხდება, ახორციელებს, აწარმოებს, ეწევა, აკეთებს, აწყობს.** დანართის სახით შრომას ერთვის წინადადებები, რომელთაც სიზუსტე აკლიათ, ორაზროვანი ან საერთოდ გაუგებარია.

ნაშრომის ბოლოს ვკითხულობთ: თითო-ოროლა შეცდომა, წაკითხული თუ მოსმენილი, თითქოს ისე შემაშფოთებელი არ არის. ავტორი იმოწმებს მანანა გიგინეიშვილის ციტატას: „როცა ჩვენმა ჩანაწერებმა ერთად მოიყარა თავი, საკმაოდ მძიმე ვითარება აღმოჩნდა. არაპროფესიონალის, არაჰუმანიტარის შეცდომებს ვინ ჩივის, ენის ნორმებს არღვევენ მეცნიერებიც, ფილოლოგებიც, ხელოვნების კულტურის მუშაკებიც“. ამ მძიმე ვითარების წარმოსაჩენად, კიდევ ერთხელ გასახსენებლად, გასააზრებლად, დასაფიქრებლად ნაშრომს ერთვის დიდძალი მასალის ნაწილი.

წიგნი მნიშვნელოვანი, ღირებული შენაძენია ქართველი საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც ენის სიწმინდის დაცვა სახელმწიფოებრივი დანიშნულების საკითხია.

ქართული ფილოლოგიის დეპარტამენტი

დედა-ენის დღე

დედა-ენის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიებები ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა მსვლელობით დაიწყეს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის ილია ჭავჭავაძის ძეგლი გვირგვინით შეამკეს. ღონისძიების ფარგლებში შოთა რუსთაველის დარბაზში კონფერენცია გაიმართა თემაზე: „14 აპრილი – დედა-ენის დღეა“. მონაწილეებმა 1978 წლის 14 აპრილს განვითარებული მოვლენები გაიხსენეს და შეაფასეს. ენათმეცნიერებმა და სტუდენტებმა მოხსენებები წარმოადგინეს ქართული ენის პრობლემატიკაზე, მისი სწავლებისა და უფლებების დაცვის საკითხებზე. ასევე შედგა ემერიტუს-პროფესორ მერი ცინცაძის მონოგრაფიის „ქართულად ხსნილად უბნობდი“ და ნანა ცეცხლაძისა და მზია ხახუტაიშვილის წიგნის „სტილისტიკის“ განხილვა. შეხვედრის დასასრულს სტუდენტებისათვის გაიმართა ვიქტორინა „რა ენა წახდეს...“.

სიყვარული – ღვთისგან ბოძებული ნიჭი

სიყვარული — ძლიერი ერთგულებისა და პიროვნული მიგნების ემოციაა. ფილოსოფიურ კონტექსტში, სიყვარული არის სათნოება, რომელიც წარმოადგენს ყველა ადამიანურ სიკეთეს, თანაგრძნობასა და ერთგულებას. რელიგიურ კონტექსტში, სიყვარული არა მხოლოდ სათნოება, არამედ ყოველი არსების საფუძველი და ყოველი ღვთიური კანონის არსია.

საქართველოში სიყვარულის დღეს აღნიშნავენ 15 აპრილს. ეს დღესასწაული წლების წინ, ჩვენმა თანამემამულემ, ბესო ჩუბინიძემ დააარსა. 1993 წელს, მან პირველად შესთავაზა საზოგადოებას სიყვარულის დღის დაარსების იდეა და ერთი წლის შემდეგ მარადიულ ტრადიციას საფუძველი ჩაუყარა. მან ეს დღე თავის მეუღლეს მიუძღვნა და თან კონცერტით აღნიშნა ვარსკვლავებთან ერთად. საზოგადოების უმეტესობისათვის ეს ინფორმაცია უცნობია, თუმცა კითხვაზე, რატომ მაინც და მაინც 15 აპრილი? პასუხობენ შემდეგნაირად: ეს დღე გაზაფხულის ცენტრია, ირგვლივ ყვავის ბუნება, რაც ადამიანში იწვევს დადებით ემოციებსა და რომანტიკული გრძნობის გამძაფრებას. სიყვარულიც ხომ სხვა არაფერია, თუ არა ბუნების უმაღლესი პოეზია. ამ დღეს ქუჩაში გავლისას დაინახავ შეყვარებულთა ბედნიერ სახეებს, წითელი ვარდებით ხელდამშვენებულ გოგონებს. მიუხედავად ამისა, ზოგი ამბობს, რომ ეს ისეთი გრძნობაა, რომელიც არ საჭიროებს კონკრეტული დროის, თარიღის გამოყოფას. სამას სამოცდახუთივე დღე უნდა იყოს სიყვარულის და ადამიანები ამ თბილი გრძნობით უნდა იყვნენ გამსჭვალულნი.

15 აპრილი არის ზოგადად ყოველგვარი სიყვარულის დღე, თუმცა ის ზოგიერთ ადამიანში მხოლოდ ქალ-ვაჟურ სიყვარულთან ასოცირდება. ჩვენც ამ საკითხზე ვისაუბრებთ. მიჯნურობა ღვთისგან ბოძებული ნიჭია. მიჯნურობაზე წერდნენ და წერენ. მარადიული თემაა. მაგრამ, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, უნდა ითქვას, რომ რადიკალურადაა შეცვლილი სიყვარულის გამოხატვა. თუ ძველად იყო „შორით კვდომა, შორით დაგვა“, დღეს სულ სხვაგვარი ვითარებაა, თუ კი ძველად შეყვარებულები ითვალისწინებდნენ ოჯახის წევრების აზრს, ამჟამად ახალგაზრდები თავიანთ არჩევანში თავისუფალნი არიან და მოქმედებენ საკუთარი სურვილისამებრ. კარგია, როცა ადამიანს გააჩნია თავისუფალი ნება, მაგრამ ეს უზნეობაში არ უნდა გადაიზარდოს. სულ სხვა თაობა მოდის, ენერგიული, მიზანდასახული, თამამი, ზოგჯერ სითამამე ზღვარგადასულია, რაც სავალალოა. სიყვარულს მალვა, გაფრთხილება ესაჭიროება. დღეს კი პირიქითაა. სოციალური ქსელების პოპულარობამ საშუალება მისცა ადამიანებს პირადი ცხოვრება სააშკარაოზე გამოიტანონ. სამწუხაროდ, დღესღეობით ჩვენი თანატოლები, როგორც კი შეყვარებულს გაიჩენენ იმ წამსვე ფაცებოოკ-სა თუ სხვა ვებსაიტზე მიდის სტატუსების, სასიყვარულო ფოტოების და შემდეგი ფრაზების: „მიყვარხარ“, „უშენოდ არ შემიძლია“ ანდაც უარესი: „ვერ გიტან არარაობავ“ — ატვირთვა. დღეს უპირატესობა ვირტუალურ ურთიერთობას ენიჭება, ადამიანებს ურჩევნიათ ერთმანეთს ინტერნეტის საშუალებით გაუმხილონ გრძნობები, ვიდრე პირისპირ. ეს კი სავალალოა, რადგან ხშირად ყოფილა ისეთი შემთხვევები, რომ სოციალური ქსელით დაახლოებულ ადამიანებს შეხვედრისას უჭირთ საუბარი. უფრო მეტიც, ახალგაზრდები მობილური ტელეფონის საშუალებით გაცნობილ, სრულიად უცხო ადამიანთან ქმნიან ოჯახს. ცხადია, ამგვარი ქორწინება, უმეტეს შემთხვევაში, კრახით სრულდება, რადგან რომ ერთად ცხოვრებისას წყვილები ვერ პოულობენ საერთო ენას, რაც იწვევს ურთიერთობის გამწვავებას და საბოლოოდ განშორებას.

ჩვენ დავინტერესდით თუ რას ფიქრობენ ახალგაზრდები სიყვარულის შესახებ და როგორია მათი მოსაზრებები ამ საკითხთან დაკავშირებით. მივმართეთ მათ შემდეგი კითხვებით: როგორ გესმით სიყვარულის ცნება? გაუფასურდა ის თუ არა? დაკარგა თავისი ღირებულება? არის თუ არა სიყვარული აგებული ანგარებაზე? აქვს თუ არა სიყვარულს ასაკი?

ანა ირემაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„ჩემი აზრით, სიყვარული არის სამყაროს უდიდესი ძალა, რომელიც აკეთილშობილებს ადამიანთა მოდგმას. იგი ჩემთვის უმთავრესი და უპირველესი გრძნობაა. არ მეგულება ადამიანი, რომელ-

საც უყვარს და ბედნიერი არ არის, მაგრამ დღეს ყველაფერი შეცვლილია. ძნელია ნამდვილი სიყვარულის და იმ ადამიანის პოვნა, რომელიც მთელი არსებით შეგიყვარებს უანგაროდ. ადამიანებს შეეცვალათ აზროვნება, სიყვარულმა ფასი დაკარგა, მაგრამ მიუხედავად ყველაფრისა, მე მაინც მჯერა, რომ თუ ადამიანები მოინდომებენ ყოველთვის შეძლებენ იპოვონ სიყვარული, რომელიც მათ შეცვლის უკეთესობისკენ. სიმართლე გითხრათ, ხშირად მაკვირვებს ისეთი ადამიანები, რომელთაც ხშირად უყვარდება. ალბათ, ბოლომდე ვერ წვდებიან იმაში, თუ რას შეიძლება ნიშნავდეს სიყვარული. არც მათ გაკრიტიკებას ვაპირებ, რადგან ყველა თავისებურად გამოხატავს ყოველივეს. თუმცა ყოველთვის შემიძლია ვთქვა, თან ხმამაღლა, რომ თუ ნამდვილად გიყვარს, უბრალოდ შეუძლებელია გიყვარდეს მხოლოდ დღეს, ხვალ ან რამდენიმე თვით. ეს მუდმივი უნდა იყოს და არასოდეს სრულდებოდეს ყოველგვარი წინააღმდეგობის მიუხედავად“.

ბესო ჩხიკვაძე — ბათუმის საზღვაო აკადემიის 1-ლი კურსის სტუდენტი:

„ჩემი აზრით, სიყვარულისთვის ერთი გამორჩეული დღე არ უნდა იყოს. ვფიქრობ, ყოველი დღე სიყვარულისაა და როცა ვინმე მიყვარს, ღიად გამოვხატავ. ბედნიერი ვარ,

სულ სხვაგვარი ხედვა მაქვს ყველაფრისადმი და სულაც არ მახსოვს დრო, თარიღი. მით უმეტეს, ამ გრძნობის რაღაც ფარგლებში „მოქცევა“ და მისი წყალობით ვინმესთან ერთად მოლხენა. აკვიატებულ იდეასავითაა დღეს აზრი სიყვარულის გაუფასურების შესახებ. პირიქით, ყოველ დროში და დღესაც სიყვარულს ღირსეული ადგილი უჭირავს ყოველი საღად მოაზროვნე ადამიანის გულში და მჯერა, რომ ასე იქნება მუდამ“.

ნათია ვასაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„ჩემთვის სიყვარული ძალიან სპეტაკი და წმინდა გრძნობაა. მიმაჩნია, რომ ადამიანს როცა შეუყვარდება, ეს მისთვის პირველი და უკანასკნელი უნდა იყოს. 15 აპრილს ალბათ იმიტომ აღინიშნება, რომ სწორედ ამ დღეს დგება ნამდვილი გაზაფხული და სიყვარულიც ხომ სიცოცხლესთან და ყოველივე სასიამოვნოსთან ასოცირდება. აბა გაზაფხულზე გადით ბუნებაში და ნახავთ რამდენი ბულბული უმღერის თავის სატრფოს და რამდენი შეყვარებული წყვილი შესცქერის ერთმანეთს სიყვარულით აღსავსე თვალებით... ამ დროს ყველაფერი იღვიძებს. სიყვარული ხომ გაზაფხულივით ლამაზი და გასაფრთხილებელია. სიყვარულს არ აქვს ასაკი, რადგან ის ასაკზე ამაღლებულია“.

მაგდა ქარცივაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„თანამედროვე შეყვარებულები უფრო თავისუფლები არიან. თუ პარალელს გავავლებთ ძველ დროსთან, დავინახავთ რომ ისინი უფრო თამამები არიან და არც ისე ტრადიციულები, როგორც ადრე იყვნენ, თუმცა ადრინდელთან შედარებით მეტად პროგრესულნი. გაქვს თავისუფალი ნება საკუთარ არჩევანში, მაგრამ ამას აქვს რაღაც უარყოფითიც. ძნელია, თანამედროვეობაში გულწრფელი გრძნობის, სიყვარულის პოვნა“.

ნათია ჯაბნიძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტურიზმის ფაკულტეტის მე-2 კურსის სტუდენტი:

„ვფიქრობ, რომ თანამედროვე სიყვარული არ არის ნამდვილი და დაფუძნებულია მხოლოდ ფულზე, გატაცებაზე, გართობაზე. ის რაც ადრე სიყვარულის ახსნის საშუალებად ითვლებოდა, დღეს ამგვარი რაღაცები ხუმრობის საგანი ხდება. ყველას განსხვავებულად ესმის ეს გრძნობა. ერთი კი დანმდვილებით ვიცი, რომ იმას, რასაც დღეს სიყვარულს ეძახიან, რეალურად შეყვარებულის ყოლის სურვილია, რადგან დღეს მოდადაა ქცეული, რომ თუ გყავს შეყვარებული, ესე იგი „მაგარი“ ხარ. რაც შეეხება 15 აპრილს, ეს დღე იმიტო უყვართ, რომ საჩუქრებს ელოდებიან, მაგრამ ავიწყდებათ, რომ აქ მხოლოდ ქალ-ვაჟური სიყვარული არ იგულისხმება და ყველა ვალდებულია, ერთმანეთის მიმართ იყოს სიყვარულით განწყობილი“.

თამუნა მიქელაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„სიყვარულს სჭირდება გაფრთხილება და მალვა. დღეს კი „მიჯნურებში ხვევნის, კოცნის და მტლაშა-

მტლუშის გარდა ვერაფერს დაინახავ, რაც, ჩემი აზრით, უმსგავსობა და ყოვლად მიუღებელია“.

თეონა მიქელაძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„სიყვარული ჩემთვის ყველაზე ძლიერი გრძნობაა, მისით იწყება ცხოვრების ანიც და ჰოეც. ვინც ამ გრძნობის განცდის გარეშე წავა ამ ქვეყნიდან, ე.ი. მას არც უცხოვრია, რადგან სიყვარული ღმერთია თავად. ის იმდენად მნიშვნელოვანია ჩეთვის, რომ მინდა ყველაზე მაღალ მთაზე ავიდე და ვიყვირო: გიყვარდეთ ხალხნო ერთმანეთი“.

ნინო ჭურკვეიძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„აქვს თუ არა სიყვარულს ასაკი? ეგ კითხვა ცოტა სხვანაირად მესმის. 40 წლის ქალი და 20 წლის ბიჭი რომ გაგიჟდებიან და გადაირევიან, ამ შემთხვევაში უნდა ჰქონდეს. ყველას რომ თავისი ტოლი და სწორი ყავს, მაგ შემთხვევაში არა“.

თიკო ჰაპიძე — ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის მე-4 კურსის სტუდენტი:

„ვფიქრობ, სიყვარულს ასაკი აქვს. ყოველ ასაკში სიყვარულს სხვადასხვანაირად განიცდი. როცა თინეიჯერი ხარ, გიყვარს თავდავიწყებით, შეგიძლია ჩაიდინო ბევრი სიგიჟე. ასაკის მატებასთან ერთად სიყვარულშიც დინჯდები და თავშეკავებული ხდები“.

ამრიგად, ასეთია ახალგაზრდების შეხედულებები. როგორც დავინახეთ, ძირითადად პესიმისტური განწყობა ჭარბობს, მაგრამ ყველა „ერთ ქვაბში არ მოიხარშება“, არ უნდა დაგვავიწყდეს ისიც, რომ არსებობს გულწრფელი, ჭეშმარიტი სიყვარული, რომელიც რა თქმა უნდა, არც ანგარებაზეა აგებული და არც საჩუქრებზე. იგი სიცოცხლის ბოლომდე მტკიცეა. არსებობს გამოთქმა: „დედამიწას სიყვარული ატრიალებს“, რომ არა ის, ცხოვრებაც ერთფეროვანი, მოსაწყენი იქნებოდა. დღეს კი ცხოვრებას აქვს ხალისი, რაც სიყვარულის წყალობა და დამსახურებაა.

ნათია მახარაძე
ნათია ტარიელაძე

წარმატებული ნაბიჯი თქვენი მომავლისთვის

პატივცემულო აბიტურიენტებო!

ყოველი ადამიანის ცხოვრება განსაზღვრულ ეტაპებს მოიცავს. ასაკობრივი ზრდის მიხედვით თქვენ თქვენი ცხოვრების იმ საწყის ეტაპზე იმყოფებით, როდესაც მეტად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლო გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ, რომელიც დაკავშირებულია პროფესიის არჩევასთან. პროფესიის არჩევანი რთული საკითხია. სწორად არჩეული პროფესია და ამ პროფესიის დაუფლება რეიტინგულ უნივერსიტეტში თქვენი სამომავლო ცხოვრების წარმატების გასაღებია. ანტიკური ხანის ფილოსოფოსს უთქვამს, რომ კარგი დასწყისი ნახევარია საქმისაო. ამიტომაც, ჩვენ შევეცდებით თქვენი ცხოვრების ამ მეტად საპასუხისმგებლო ეტაპზე პროფესიის არჩევასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღებაში დაგეხმაროთ.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტს სასწავლო და სამეცნიერო კვლევის საქმიანობის 80 წლიანი გამოცდილება გააჩნია. გამოცდილება, როგორც სოციალური ფენომენი მნიშვნელოვანი ფაქტორია იმისათვის, რომ უნივერსიტეტმა სწორი ორიენტაცია გააკეთოს საზოგადოებისა და სახელმწიფოს მოთხოვნებზე. შესთავაზოს აბიტურიენტებს მაღალი ხარისხის განათლება და მისცეს პროფესიის ფართო არჩევანი. ჩვენი უნივერსიტეტი იყო და დღესაც რჩება განათლების სფეროში ერთ-ერთ ფლაგმანად. მას ზოგადად ქვეყნის და განსაკუთრებით სამხრეთ–დასავლეთ საქართველოს განათლების, კულტურული აღორძინებისა და ეკონომიკურ–პოლიტიკურ წინსვლის საქმეში დიდი წვლილი მიუძღვის.

უნივერსიტეტში აქტიურ და წარმატებულ სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას ახორციელებს სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი. ეს ფაკულტეტი თავისი მასშტაბებით ყველაზე დიდია და იგი 1800-მდე სტუდენტს აერთიანებს. ფაკულტეტი მაღალი რეიტინგით და მოთხოვნადობით გამოირჩევა, რასაც განაპირობებს საგანმანათლებლო პროგრამები, რომელიც ამ ფაკულტეტზე ხორციელდება და ასევე, ლექტორ-მასწავლებელთა პროფესიონალიზმი, მათი დაუღალავი შრომა და ფიქრი წარსულზე და მომავალზე.

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტზე ამჟამად ფუნქციონირებს 9 საბაკალავრო, 4 სამაგისტრო და 3 სადოქტორო პროგრამა. პატივცემულო აბიტურიენტებო, ბაკალავრიატის საფეხურზე განაცხადის გაკეთებისას, მომავალი წარმატებისათვის საკმაოდ თავბრუდამხვევი და მეტად სარფიანი არჩევანი გელოდებათ. თქვენ შეგიძლიათ ისწავლოთ სამართალმცოდნეობის, ფინანსების, მენეჯმენტის, საბუღალტრო და საგადასახადო საქმის, მარკეტინგის, ეკონომიკის, საერთაშორისო ურთიერთობის, ევროპისმცოდნეობის და ფსიქოლოგიის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე. კვლევების საფუძველზე დადგენილია, რომ ჩვენი ფაკულტეტის კურსდამთავრებულთაგან უკვე 4-5 წლის შემდეგ დასაქმების პროცენტი 80 %–მდე მერყეობს, ამასთან ხშირ შემთხვევაში დასქმება არის ძალიან კარგი ანაზღაურებით. ჩამოთვლილი საბაკალავრო პროგრამები საკმაოდ მაღალი რეიტინგის პირობებში კომპლექტდება. მაგალითად, სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამაზე ბოლო ორი წელია პირველი ადგილის განაცხადით ერთ ადგილზე მოდის 5,6 სტუდენტი, ფინანსებზე -3,3 სტუდენტი, ფსიქოლოგიაზე 3,8- სტუდენტი და ა. შ.

საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ სამართალმცოდნეობის საგანმანათლებლო პროგრამა აბიტურიანტთა პირველ ადგილიანი განაცხადების მიხედვით ბათუმის უნივერსიტეტის მასშტაბით პირველ ადგილს იკავებს და ის ამ რეიტინგში ტოლს არ უდებს საქართველოს მოწინავე უნივერსიტეტებს, მათ შორის თბილისის ივ. ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტსაც კი.

ფაკულტეტი სწავლების პროცესში აკადემიური განათლების გარდა დიდ ყურადღებას უთმობს პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეძენას სტუდენტებისათვის. ამ მიზნით ფაკულტეტზე ფუნქციონირებს სასამართლო საიმიტაციო დარბაზი, იურიდიული კლინიკა, ფსიქოლოგიის ლაბორატორია, კომპიუტერული კლასი, იგეგმება და მალე გაიხსნება კრიმინალისტიკის კაბინეტი, ბიზნეს ადმინისტრირების კონსალტინგური ცენტრი. ფაკულტეტის ცხოვრებაში აქტიურ მონაწილეობას იღებენ სტუდენტები, რომლებიც ხშირად ჩართულნი არიან კვლევით, კულტურულ, დასაქმების, ინტელექტუალურ, შემოქმედებით თუ სპორტულ ღონისძიებებში.

ფაკულტეტი მაქსიმალურად ცდილობს შეინარჩუნოს ძველი ტრადიციები და ამასთან, უპასუხოს იმ ურთულეს გამოწვევებს, რომელიც ცივილური საზოგადოების სწრაფი განვითარებისა და გლობალიზაციის ურთულესი პროცესით არის განპირობებული. განათლებული საზოგადოება არის მყარი გარანტი მშვიდობის შენარჩუნების, დემოკრატიის, ჰუმანურობის და სამართლიანობის პრინციპების განუხრელი გატარებისათვის. იმისათვის, რომ იყოთ წარმატებულები და გაითავისოთ ეს მეტად მნიშვნელოვანი ღირებულებები, რომელიც განათლების გარეშე მიუღწეველია, ამ განათლების საუკეთესო არჩევანი ნამდვილად არის ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი და მისი ერთ-ერთი ფაკულტეტი - სოციალურ-მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის სახით, ამიტომ გელოდებით!

განათლების ფაკულტეტი

წარმატებულია ქვეყანა - წარმატებულია ოჯახი - წარმატებულია სკოლა

ტრადიციული „დამგროვებელი“ განათლება „პრობლემის დასმის“ განათლებით შეიცვალა.

ბედნიერი ანუ სრულფასოვანი და ნაყოფიერი ცხოვრებისათვის ადამიანს სჭირდება არა მარტო დამოუკიდებელი ნაბიჯების გადადგმა, არამედ მის მიერ არჩეულ სფეროში დაოსტატება, საკუთარ თავში პატიოსნების, ერთგულების, სიმამაცისა და სამართლიანი განსჯის უნარის გამომუშავებისაკენ სწრაფვა.

- განათლება ცოდნის მიღებისა და უნარ-ჩვევების ჩამოყალიბების შედეგია;

- აღზრდა პიროვნების მიზანდასახული ფორმირებაა;

პედაგოგის მოვალეობაა სწავლება-სწავლის პროცესის ორგანიზება და მასში მოსწავლის აქტიური ჩართვა.

მახასიათებლები:

- დემოკრატიული საზოგადოებისათვის საჭირო, აქტიური სამოქალაქო ცნობიერების მქონე პიროვნების ჩამოყალიბება;

- გონებაგახსნილი მამულიშვილების აღზრდა;

- მზადყოფნა მრავალგვარი პასუხისმგებლობისათვის;

- აქტიური მდგომარეობა;

- გარემომცველი სამყაროს გარკვეული ხედვა;

- უწყვეტი თვითგანათლების სურვილი.

დაწყებითი სკოლა - პიროვნების ჩამოყალიბებისათვის მნიშვნელოვანი საფეხურია. მასწავლებელი ამ დროს თიხის მკეთებელ მეთუნედ მოიაზრება. სწორედ მასზეა დამოკიდებული, როგორი გაიზრდება მოსწავლე: გულქვა, უგულო, მრისხანე, ბოროტი, როგორც უხეში ქოთანი თუ იბრწყინებს, როგორც ხელმარჯვე ოსტატის მიერ გამოძერწილი კოხტა სურა.

ძვირფასო აბიტურიენტებო,

დადგა დღე, როცა თქვენ უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილება უნდა მიიღოთ. მომავალი პროფესიის სწორად არჩევა თქვენი წარმატებული ცხოვრების საწინდარია. არჩევანის გაკეთება რთულია, რადგან საქართველოს უმაღლესი სასწავლებლები საგანმანათლებლო პროგრამების მრავალფეროვნებით გამოირჩევიან. ამ მხრივ არც ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტია გამონაკლისი.

განათლების ფაკულტეტი ახორციელებს დაწყებითი განათლების, სპორტის, მასწავლებლის მომზადების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებს, განათლების ადმინისტრირების, უმაღლესი განათლების მენეჯმენტის და საბაზო და საშუალო სკოლის საგნის/საგანთა ჯგუფის მასწავლებლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, აგრეთვე, განათლების სადოქტორო პროგრამას.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი რეგიონული უნივერსიტეტია, რომელიც დაფუძნებულია პედაგოგიური ინსტიტუტის ბაზაზე და აქვს 80 წლიანი გამოცდილება. ამ და სხვა მრავალი მიზეზიდან გამომდინარე, ბსუ საქართველოს მასშტაბით ერთ-ერთი მოთხოვნადი უნივერსიტეტია.

მხოლოდ ბოლო წლის მონაცემებით რომ ვიმსჯელოთ, 2013 წლის ერთიან ეროვნულ გამოცდებში მონაწილეობის მისაღებად დაწყებითი განათლების სპეციალობაზე გამოცხადებულ 60 ადგილზე სულ დარეგისტრირდა 1410 აბიტურიენტი, მათ შორის პირველადი არჩევანი გააკეთა 122 აბიტურიენტმა. სპეციალობის ისტორიას თუ გადავხედავთ, ფაქტობრივად არც ერთ პერიოდში არ დაფიქსირებულა ვაკანსია გამოცხადებულ ადგილებზე.

გასათვალისწინებელია ის ფაქტიც, რომ მიმდინარე წლისგან განსხვავებით, 2013 წელს აღნიშნული სპეციალობა ჩვენს უნივერსიტეტში არ ფინანსდებოდა სახელმწიფოს მიერ. 2013 წლიდან ბსუ-ში ამოქმედდა განათლების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა, რის შედეგადაც დაწყებითი განათლების სპეციალობაზე 2014 წლიდან სწავლა უფასო იქნება.

თუ თვალს გადავავლებთ ბსუ-ს კურსდამთავრებულთა დასაქმების ბოლო წლების მაჩვენებელს, შეიძლება ითქვას, რომ დაწყებითი კლასების მასწავლებლის პროფესია ერთ-ერთი ყველაზე მოთხოვნადია შრომის რეგიონულ ბაზარზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ჩვენი კურსდამთავრებულები დასაქმებულნი არიან არა მხოლოდ აჭარის, არამედ მთლიანად დასავლეთ საქართველოს მასშტაბით, რასაც ხელს უწყობს საჯარო და კერძო სკოლებთან უნივერსიტეტის აქტიური თანამშრომლობა და პედაგოგიური პრაქტიკის მნიშვნელოვანი წილი საგანმანათლებლო პროგრამაში.

XIX საუკუნის მეორე ნახევრის დიდი პოლიტიკური მოღვაწე, გერმანიის იმპერიის პირველი კანცლერი ოტო ფონ ბისმარკი ამბობდა „ომს იგებს არა მხედართმთავარი, არამედ სკოლის მასწავლებელი“. გენიალური პოლიტიკოსი არ გულისხმობდა პირდაპირი მნიშვნელობით საომარ მოქმედებებს. თუკი ჩვენ სერიოზულად ჩავუფიქრდებით ჩვენს მომავალს, დავრწმუნდებით, რომ ცხოვრება ბრძოლაა და იმისათვის, რომ თანამედროვე გლობალიზაციის ეპოქაში გავუძლოთ ახალ გამოწვევებს, არ ჩამოვრჩეთ პროგრესს და ამასთან შევინარჩუნოთ ჩვენი თვითმყოფადობა, ბრძოლა გვესაჭიროება და ამ ბრძოლაში წამყვანი ძალა სკოლის პედაგოგებია. პედაგოგი კი უმაღლესმა სასწავლებელმა უნდა მოამზადოს.

გონივრული არჩევანი

ცხოვრებაში დგება პერიოდი, როცა არჩევანის წინაშე დგახარ, რაზეც არის შენი მომავალი დამოკიდებული. სწორედ არჩევანის წინაშე დავდექი მაშინ, როცა ვირჩევდი პროფესიას. არჩევანი გავაკეთე დაწყებით განათლებაზე, რადგან მასწავლებლობის სურვილი ჩემი პირადი ინიციატივისა და ჩემი პირველი მასწავლებლის სიყვარულით იყო განპირობებული. მინდა, რომ მე თვითონ აღვზარდო ბავშვები და გადავცე ცოდნა-გამოცდილება, რაც მე შევიძინე. ეს პროფესია იმდენად ძლიერი მხარეებით წარმომედგინა და არის კიდეც, რომ ჩვენი ქვეყნის მომავალი სწორედ ამ პროფესიაზეა დამოკიდებული.

ჩემი მოლოდინი პირველი კურსიდანვე გამართლდა. ველოდებოდი ბევრ მუშაობას, ახლის შესწავლას, სამეცნიერო კვლევებს. ველოდებოდი, რომ პროფესორები, ლექტორები სიახლეს შეიტანდნენ ჩემს ფიზიკურ, გონებრივ განვითარებაში და ფაქტი სახეზეა. დღეს მე ვარ მესამე კურსის სტუდენტი და ვგრძნობ, როგორ ვიზრდები ჩემი პროფე-

სიის შესწავლით. ვღებულობ სხვადასხვა სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, რაც მიყალიბებს აზროვნებას, თემის წარმოჩენისა და პრეზენტაციის უნარებს, რაც მნიშვნელოვანია პედაგოგისათვის.

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მაძლევს იმის საშუალებას, რომ ვიყო პროფესიონალი, ასევე მაძლევს საშუალებას შევისწავლო სწავლების თანამედროვე მეთოდები, რაც განსხვავდება სკოლაში ადრე არსებული ტრადიციული სწავლებისაგან. უნივერსიტეტში მიღებული ცოდნა არ შემოიფარგლება თეორიით და მას პრაქტიკული განხორციელებაც ახლავს. დაწყებითი განათლების სტუდენტებს გვაქვს სხვადასხვა სკოლაში ღია გაკვეთილის ჩატარების საშუალება. მიღებული ცოდნა მომცემს იმის საშუალებას, რომ დავსაქმდე და ვიყო წარმატებული პედაგოგი წარმატებულ სკოლაში.

ჩემმა არჩევანმა ვთვლი, რომ საკმაოდ გაამართლა და მივაღწევ დასახულ მიზნებსაც. ეს პროფესია მაძლევს საშუალებას ვიყო ხელოვანი, რომელსაც საკუთარი საქმის კეთება არასდროს მოწყინდება.

ელისო ბოლქვაძე

დაწყებითი განათლების III კურსის სტუდენტი

სიტყვა თქმული 2014 წლის 14 აპრილს

მამია ფაღავა

კიდევ ერთი 14 აპრილი მოვიდა და კვლავ შევიკრიბეთ ქართული ენის დღის აღსანიშნავად. სიმბოლურია, რომ დღევანდელ ღონისძიებას ვუძღვნით ქალბატონი მერი ცინცაძის მშვენიერი წიგნის ,,ქართულად ხსნილად უბნობდი!" განხილვას. წიგნის მთელი შინაარსი ხომ დღევანდელი დღითაა გაჯერებული.

წინასწარვე ვიტყვი, რომ ასეთი წიგნი ,,ერთი ხელის დაკვრით" არ იწერება, იგი ხანგრძლივ დაკვირვებასა და კომპეტენციას მოითხოვს. წიგნის ავტორი, ქ-ნი მერი ნამდვილად არის იმ კომპეტენციის მატარებელი, ასეთი წიგნის დაწერას რომ სჭირდება. ამის თქმის უფლებას მაძლევს თავად წიგნი და ხანგრძლივი შემოქმედებითი თუ კოლეგიალური ურთიერთობა ავტორთან.

,,ქართულად ხსნილად უბნობდი!" ავტორისაგან თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის განვითარების ტენდენციებზე ხანგრძლივი დაკვირვების შედეგია. ქართული ენის მდგომარეობამ ჩვენს დროში მკვლევარს გაამეორებინა შუა საუკუნეების დიდი მოღვაწის გიორგი ათონელის სიტყვები — ,,ქართულად ხსნილად უბნობდი!" ნეტავ, არ ყოფილიყო ამის საჭიროება, თუნდაც ასეთი წიგნის დაწერისა. თავად წიგნის სათაური თხოვნაა, ამავე დროს — გაფრთხილებაც, ჩვენი თანამედროვეებისა თუ მომავალი თაობებისა. შინაარსი კი — შექმნილი ვითარების რეალური სურათი.

პრობლემა ახალი არ არის. ისტორიის ყველა მონაკვეთზე ჩანს იგი და არა მარტო საქართველოში. პრობლემა იდგა ძველ საქართველოშიც, მაშინაც ხედავდნენ და აწუხებდათ მშობლიური ქართულის მდგომარეობა, იდგა XIX საუკუნეშიც, ქართველმა სამოციანელებმა, ცოტა უფრო ადრეც (გავიხსენოთ გიორგი ერისთავის კომედიები), დაინახეს და დაიწყეს ფიქრი სალიტერატურო ქართულის ნორმალიზაციის საკითხებზე (გავიხსენოთ მცდელობანი 60-70-იან წლებში ქართული სალიტერატურო ენის ცალკეული საკითხის მოსაგვარებლად).

შევთანხმდეთ: ენის სიწმინდეზე ფიქრი მარადიული პრობლემაა, ყველა ეპოქა თავის პრობლემებს აყენებს, თაობებს კი ევალებათ ამ საჭირბოროტო საკითხების მოგვარება, ზრუნვა მშობლიურ ენაზე, ეროვნული მეობის/იდენტობის უპირველეს ნიშანზე.

მოდით, ამოვიდეთ ერთი ლინგვისტური დებულებიდან: ენა სამყაროს სურათია/ხატია ამ ენის მატარებელი ერის მიერ შექმნილი. ქართული ენაც სამყაროს ხატია, ქართველი კაცის აღქმული სამყაროს ხატი. ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ქართველმა კაცმა ყველაფერს თავისი სახელი უწოდა, ასე გაიაზრა სამყარო. თუ დავაკვრდებით ქართული ენის გრამატიკულ და ლექსიკურ შესაძლებლობებს, დავრწმუნდებით, რომ ქართველურმა ტომებმა შექმნეს ენა, რომლითაც შეიძლება გამოითქვას ყოველგვარი აზრი (ეს ნიკო მარია), ყველაფერი ის, რაც კაცობრიობას შეუქმნია. და კიდევ ერთი ნიუანსი, რომელიც უნდა გვახსოვდეს: ქართველი კაცი ქართული ენით აღიქვამს სამყაროს, სხვა ენის/ენების ცოდნა ეხმარება მხოლოდ სამყაროს გააზრებაში და არა პრიქით. ამიტომაც, ჩვენი რწმენით, ქართველისათვის უპირატესია ქართული ენის ღრმა ცოდნა, ,,ხსნილად უბნობა" ქართულად.

საუბარი გაგვიგრძელდა.

ჩვენი თაობაც აღმოჩნდა მუდმივი პრობლემის წინაშე, კვლავ გააქტიურდა ,,ქართულად ხსნილად უბნობის" პრობლემა.

სად ვეძიოთ პრობლემის მიზეზები? ვიტყვით, მიზეზი ბევრია, ბევრზე ბევრი. შევეხებით ზოგიერთ მათგანს:

სკოლა!

ჯერ კიდევ აკაკი შანიძე აღნიშნავდა: ,,ზოგჯერ გაისმის ხმები, გრამატიკის სწავლება სკოლაში საჭირო არ არისო, ენა და ლიტერატურა ცალ-ცალკე, დამოუკიდებელ საგნებად კი არა, ერთად უნდა ისწავლებოდესო. ასეთი მსჯელობა არ არის სწორი, რადგანაც ლიტერატურას თავისი სპეციფიკა აქვს, გრამატიკას — თავისი". არ მოვუსმინეთ დიდ მოძღვარს (სხვათა შორის მოუსმინეს კომუნისტურ ეპოქაში, როდესაც საშუალო სკოლებში ქართული ენა ცალკე საგანი იყო და ისწავლებოდა V—VIII კლასებში, უმეტესად აკ. შანიძისა და მისი თანაავტორების მეცნიერულად და მეთოდოლოგიურად გამართული სახელმძღვანელოებით). ჩვენს დროში მოხდა ისე, რომ სკოლებში ქართული ენა ცალკე საგნად აღარ ისწავლება, არც მისაღებ გამოცდებზე მოეთხოვება აბიტურიენტს ენის კანონების ცოდნა, მოთხოვნა მინიმუმამდეა დაყვანილი. დასკვნას მე არ გავაკეთებ, გიორგი ახვლედიანს დავესესხები: ,,გრამატიკის ავტორიტეტის შებღალვას მოსდევს უწიგნურობის გავრცელება". ფაქტი სახეზეა...

უცხო ენის მოძალება!

,,დღეს ,,საყველპურო" ინგლისურის ცოდნა უფრო ფასობს, ვიდრე დარბაისლური ქართულისა" — ეს გიორგი გოგოლაშვილია, ჩვენი თანამედროვე ენათმეცნიერი, არაერთი მონოგრაფიის ავტორი, მათ შორის ,,ქართული ზმნა" და ,,თანამედრო ქართული ენის მორფოლოგია", სალიტერატურო ენა (სხვა ავტორებთან ერთად).

არავინ უარყოფს უცხო ენის/კულტურის ცოდნის საჭიროებას, მაგრამ ეს არ ნიშნავს ქართულის/მშობლიურის არცოდნას. საქართველოში ქართული ენის ცოდნა უნდა ფასობდეს უპირველესად.

უკონტროლობა ქართული ენის ფუნქციონირებაზე!

ქართული ენის ფუნქციონირება უკონტროლოდაა მიტოვებული ყველა დონეზე:

— გამომცმლობები სტამბავენ რედაქციულად დაუმუშავებელ წიგნებს, გაზეთის რედაქციები — სტატიებს/პუბლიცისტურ წერილებს. რედაქციებში აღარ საქმიანობენ გამომცემლობის რედაქტორები, სტილისტები, კორექტორები. შესაბამისად ვღებულობთ მდარე პროდუქციას.

ეს პრობლემაა და შველას მოითხოვს.

— ტელევიზიებსა და რადიოში ,,მოდური" გახდა პრდაპირი ჩართვები, ე.წ. ,,ღია ეთერი". ყველაზე მეტად აქ იჩენს თავს ჩვენი წიგნიერება, უფრო უწიგნურობა. უჭირს პირდაპირ ეთერში რესპონდენტს აზრის გამოთქმა, ისმის გაუმართავი წინადადებები, მოჭარბებული ბარბარიზმები თუ პროვინციალიზმები...

მეორეცაა და მავანს კარგ ტონად მიაჩნია, თუ საუბარში უცხო სიტყვას, ტერმინს, განსაკუთრებით ინგლისურს გამოურევს. ასე მოგვეძალა კასტინგი/ქასტინგი, კრეატიული და ბევრი სხვა. განა ქართულად არ შეიძლება ვთქვათ შერჩევა, შემოქმედებითი? ანდა რითაა უკეთესი პრეზენტაცია – წარდგინებაზე.

აღარაფერს ვამბობ ზოგიერთი ჩვენი ჟურნალისტის ქართულ გამოთქმაზე. ჩემი მოსაზრებით არც აქ შეგაწყენთ თავს, ბატონ ზურაბ ჭუმბურიძეს დავესეხები: ,,უსმენ ჩვენს ტელეწამყვანებს და იშვიათი გამონაკლისის გარდა, ვერ გაიგებ, აქაური ქართველი გელაპარაკება, თუ უცხოელი, რომელსაც ახლახან უსწავლია ქართული: სად სვამენ მახვილს, სად აკეთებენ პაუზას, რა სიტყვებსა და ტერმინებს იყენებსნ ეშმაკი ვერ გაიგებს. ქართული ხომ არ იციან და არ იციან".

პრობლემები სხვაც ბევრია, ქართულ ენას გაჭირვებიაა მშობლიურ ჭერქვეშ, საქართველოში...

ქალბატონი მერის წიგნი სწორედ პროფესიულად მოგვითხრობს ენის საჭირბოროტო საკითხებზე, მოგვითხრობს, როგორ დავძლიოთ არსებული სიძნელეები, როგორ ,,ვიუბნოთ ხსნილად''.

,,გვეშველება რამე?" (ეს კახი კავსაძეა) — იფიქრებთ თქვენ. მე გეტყვით, გვეშველება, მაგრამ არა გარჯის გარეშე...

ყველა ეპოქაში იდგა ქართული სალიტერატურო/სამწერლობო ენის წინაშე პრობლემები, წარმოშობილი შიგა თუ გარე ფაქტორებით, ხან უცხოური მოეძალებოდა, ხანაც — დიალექტური, ცოცხალი მეტყველების ნაკადის მოჭარბება იგრძნობოდა...

ყველა ეპოქაში მიმდინარეობდა კულტურათა დიალოგი, უცხოური ელემენტის მოჭარბებაც ამ დიალოგის შედეგი იყო. თუ ქართული სამწერლობო ენის ისტორიას დავაკვირდებით, ამის დანახვა არ გაგვიჭირდება...

მიუხედავად ყველაფრისა, ქართულმა ენა ჩვენამდე მოაღწია შეურყვნელმა და მთლიანმა, ნორმის ფარგლებში უცხიური ლექსიკით.

დღეს, ჩვენს ეპოქაში, როდესაც ძალიან დაპატარავდა მსოფლიო ელექტრონული საინფორმაციო საშუალებებით, კულტურათა დიალოგიც ინტენსიური გახდა, შესაბამისად ინტენსიურია ენათა კონტაქტებიც, ენაში შემოდის უცხოური ლექსიკა, ზოგჯერ უსარგებლო. ჩვენ ვცხარობთ, ,,განგაშის ზარებს ვარისხებთ"(სწორადაც ვიქცევით), დაგვიბინძურდაო ენა. ძალიანაც კარგია, რომ პრობლემას ვხედავთ და არ ვიბრმავებთ თვალებს. მაგრამ ნურც იმას დაიჯერებს ვინმე, რადგან ტელევიზიით, რადიოთი, გაზეთის თუ სხვა წერილობითი ტექსტებით უცხო სიტყვა თუ გამოჩნდა ქართულ საუბარში, არიქა, ენამ ისესხაო უცხო სიტყვა. ვიტყვი, ეს სესხება არაა. ენაში უცხო სიტყვის სესხება ხანგრძლივი პროცესია, დრო გამოცდის მის საჭიროებას, მხოლოდ ამის შემდეგ ჩაეწერება ესა თუ ის სიტყვა ენის ლექსიკურ ფონდში. სხვაგვარად, შემოსული სიტყვებიდან ენა აუცილებელს დაიტოვებს, სხვას უკუაგდებს, სხვა დარჩება ბარბარიზმად გარკვეული წრის მეტყველებაში. სხვაგვარად, უსარგებლო ,,ნასესხობანი" დარჩება როგორც თაობის კულტურის/უკულტურობის ნიშანი.

რამდენად მოვლილს გადავცემთ მომავალ თაობას ჩვენს ენას, ამაში ჩვენი თაობის კულტურა ჩანს. ამიტომაც ენის სიწმინდისათვის ზრუნვა, თაობის კულტურის გამოხატულებაცაა.

აუტიზმის საერთაშორისო დღე

აუტიზმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობისა და სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის წარმომადგენლებმა ინკლუზიური ჯგუფის მოზარდები მოინახულეს და ტკბილეული გადასცეს. შეხვედრა მიზნად ისახავდა აუტიზმის მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრირების ხელშეწყობასა და ცნობიერების გაზრდას. ბათუმის მე-6 საჯარო სკოლაში არსებული ინტეგრირებული ჯგუფის მოსწავლეებმა და თამარის დასახლებაში საოჯახო ტიპის სახლში მყოფმა განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვებმა სტუდენტებს სხვადასხვა სახის ნამუშევრები, ნახატები და თიხისგან დამზადებული ნივთები წარუდგინეს. 2007 წლის 18 დეკემბერს გენერალურმა ასამბლეამ 2 აპრილი აუტიზმის შესახებ ინფორმაციის გავრცელების მსოფლიო დღედ გამოაცხადა.

„ბიოტექნოლოგია - XXI საუკუნეში ქვეყნის განვითარების მაგისტრალური გზა"

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტმა, აკადემიკოსმა გიორგი კვესიტაძემ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საჯარო ლექცია წაიკითხა თემაზე: „ბიოტექნოლოგია - XXI საუკუნეში ქვეყნის განვითარების მაგისტრალური გზა". აკადემიკოსმა სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს მეცნიერებათა აკადემიაში განხორციელებული ცვლილებები, დაგეგმილი პროექტები და არსებული პრობლემების გადაჭრის გზები გააცნო. ისაუბრა ბიოტექნოლოგიის სიახლეებზე, აქტუალურ საკითხებსა და XXI საუკუნის გამოწვევებზე. მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა ისეთ მნიშვნელოვან პრობლემებზე, როგორიცაა: სურსათისა და მისი ცალკეული ინგრედიენტების იაფი და მასიური წარმოება ტრადიციული და არატრადიციული ტექნოლოგიებით, მასშტაბური ურბანიზაციით გამოწვეული ეკოლოგიური მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება, ალტერნატიული ენერგომატარებლები, რადიაციის ფონის ზრდა, ბუნებაში სპონტანური მუტაციების და მუტაგენური ეფექტის მნიშვნელოვანი მატება, ახალი ტიპის სამკურნალო საშუალებები, გენმოდიფიცირებული ორგანიზმები: პრობლემები და გამოყენება.

მოსაზრებები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არსებული ხარვეზებისა და პრობლემების გადაწყვეტასთან დაკავშირებით

გასულ წლებში, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები და რეფორმები უმეტესწილად უარყოფითი ტენდენციებით ხასიათდება. ქვეყანაში დეკლარირებული იქნა მკაცრი სისხლისსამართლებრივი პოლიტიკა. სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანილმა არაერთმა საკანონმდებლო ცვლილებამ აგრესიული საკანონმდებლო ხასიათი მიიღო და აშკარად ეტყობოდა საკანონმდებლო დილეტანტიზმის ხელი.

კანონმდებელი ნაკლებად იყო დაინტერესებული კანონთა ჰარმონიზაციის – ჩვენი სისხლის სამართლის კანონმდებლობის უცხოურ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანის საკითხით. ევროპელებიც ნაკლებად აქცევდნენ ყურადღებას, თუ რა კანონებს იღებდნენ ჩვენთან. ამასთან, ბევრი საკანონმდებლო ცვლილება თუ შესწორება ბრმად, აშკარად უცხო ქვეყნის კანონმდებლობასთან მიბაძვით იყო გამოწვეული და ჩვენს კანონმდებლობაში მისი გადმოტანის დროს ნაკლებად იყო გათვალისწინებული ქართული სამართლებრივი რეალობა. ხშირად სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებები შედიოდა კონკრეტულ პირზე, საქმეზე მოსარგებად და იმდროინდელი ხელისუფლებისათვის ხელსაყრელი კონკრეტული ვითარების შესაბამისად.

ზოგადად, საკანონმდებლო ბაზა იცვლებოდა ისე, რომ ყოფილიყო ერთი კაცის, ერთი პიროვნების სამსახურში და რაც ყველაზე ცუდია ეს ცვლილებები ხდებოდა ადამიანის უფლებების დარღვევის ხარჯზე.

როგორც აღვნიშნეთ ზოგჯერ ეს ნორმები აშკარად აგრესიულ ხასიათს ატარებდა, რაც გარკვეულად გამომდინარეობდა ცნობილი ე. წ. „ნულოვანი ტოლერანტობიდან“, რაც მაშინდელ ხელისუფალთა თითქმის ყოველდღიურ მოწოდებებში გაისმოდა.

არაადამიანურად გამკაცრდა სასჯელი, შემოიტანეს ქართული მენტალიტეტისათვის მიუღებელი ნორმები, განსაკუთრებით კი დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელთა შეკრების წესი. ამავე წლებში აბსოლუტურად დაბალი იყო სასამართლოს დამოუკიდებლობა, მკვეთრად გაიზარდა პატიმართა რაოდენობა.

სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ცვლილებების განხორციელების დროს კანონმდებლის, კონკრეტულად კი იმდროინდელი ხელისუფლების მიერ საერთოდ არ ყოფილა გათვალისწინებული ქართული საზოგადოების აზრი, მათი მოთხოვნა, ქვეყანაში არსებული რეალური სამართლებრივი მდგომარეობა და რაც მთავარია მათი მიღების დროს აშკარად იყო უგულებელყოფილი ამ დარგის მეცნიერების, პრაქტიკოსი იურისტების და საერთოდ პროფესიონალების აზრი და გამოცდილება.

პრაქტიკამ გვიჩვენა, რომ ხშირად ასეთი ნორმები ჩვენთან არ მუშაობს. მასზე არა მარტო პრაქტიკოს, არამედ ამ დარგის თეორეტიკოსებსაც უჭირთ მუშაობა. სამწუხაროა, რომ გასულ წლებში რა ნორმებიც იქნა მიღებული, ზოგჯერ იმის გამოყენებაც დამახინჯებული ფორმით ხდებოდა.

ზოგადად კანონი მარტივად უნდა იკითხებოდეს, ცხადი, გამჭირვალე და ყველასათვის გასაგებიუნდა იყოს, თუ რას ითხოვს მისი ნორმები. სამართლებრივ ნორმათა სრულყოფილების და მისი ვარგისიანობის საზომი არის იგრძნობა თუ არა რაიმე მართმსაჯულების სისტემაში სასიკეთოდ. რა თქმა უნდა, აღნიშნულზე მოქალაქეთა, მთლიანობაში საზოგადოების აზრია საჭირო, მაგრამ სამწუხაროდ, რეალურად ხალხი უკმაყოფილოა ამგვარი სამართლებრივი ნორმებით.

სისხლის სამართლის საკანონმდებლო საქმიანობის უარყოფით ტენდენციებზე აშკარად მეტყველებს როგორც სისხლის და სისხლის საპროცესო კოდექსებში შეტანილი ცვლილებების შედეგად გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების საქმიანობაში არსებული მძიმე შედეგები, ასევე თვით საზოგადოების მხრიდან მის მიმართ გამოთქმული სამართლიანი შენიშვნები, ამ ორგანოების, განსაკუთრებით კი სასამართლოს საქმიანობის მიმართ აშკარა უარყოფითი განწყობა. ამიტომ არის სამართალდამცავი ორგანოების მიმართ გაუთავებელი, მაგრამ სამართლიანი პრეტენზიები, უკმაყოფილება, საჩივრები არა მარტო ადგილობრივ, არამედ ევროპულ სასამართლოში.

ამგვარი საკანონმდებლო ცვლილებებით თუ როგორი მძიმე რეალობის წინაშე დადგა ქართული სისხლის სამართლის კანონმდებლობა და მთლიანად ქართული საზოგადოება, ამაში ქვემოთ მოყვანილი ზოგიერთი საკანონმდებლო ნორმების ცვლილებების და ჩვენს სინამდვილეში მისი განხორციელებით დამდგარი მძიმე შედეგების ანალიზით დავრწმუნდებით.

განსაკუთრებით მიუღებელი იყო საკანონმდებლო თვალსაზრისით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლში განხორციელებული ცვლილება, რომლის თანახმად დანაშაულთა და განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას დაწესდა მხოლოდ სასჯელთა შეკრების პრინციპი, ხოლო სასჯელის შთანთქმის პრინციპი საერთოდ გაქრა კანონმდებლობიდან. ამან კი ამ წლების განმავლობაში ათასობით დასჯილ პირთა მიმართ მკაცრი და არასამართლიანი, დამნაშავის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმისა და დამნაშავის პიროვნების აშკარა შეუსაბამო სასჯელების დანიშვნა გამოიწვია.

იმის გამო, რომ, ეს ნორმა გასული წლის 14 აპრილს სს კოდექსში განხორციელებული გონივრული და დროული შესწორებით^შეიცვალა და კანონმდებელი ფაქტიურად ამ მუხლის თავდაპირველ ნორმას დაუბრუნდა, მის მიერ გამოწვეული მძიმე შედეგების და ზოგადად ამ ნორმის უარყოფითი მხარეების ვრცლად განხილვას აღარ შევუდგებით.

სს კოდექსის 71-ე მუხლი ითვალისწინებს პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებას ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, რაც ძირითადად დამოკიდებულია დანაშაულის სიმძიმეზე. კერძოდ, ამავე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილია, რომ პირი ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან, თუ გავიდა ექვსი წელი ნაკლებად მძიმე, ათი წელი მძიმე და ოცდახუთი წელი განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენიდან.

2006 წლის 25 ივნისს ამ მუხლის პირველ ნაწილში შეტანილი ცვლილების მიხედვით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე-342[1] მუხლებით (სამოხელეო დანაშაული) გავალისწინებული დანაშაულისათვის, თუ ისინი არ მიეკუთვნება განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის დაწესდა 15 წელი.

ჩვენი აზრით გაუგებარია კანონმდებლის ამგვარი პოზიცია და აშკარად ჩანს ცვლილების უაზრობა. საინტერესოა, ამგვარი ცვლილების შეტანის დროს რა კრიტერიუმით ისარგებლა, მაშინ როცა სხვა კატეგორიის ნაკლებად მძიმე და მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებისათვის დაწესებულია შესაბამისად ექვსი და ათწლიანი ხანდაზმულობის ვადები. სამოხელეო სფეროში შემავალ დანაშაულთა დიდი ნაწილი კი მიეკუთვნება ნაკლებად მძიმე დანაშაულთა კატეგორიას.

საჭიროა სასწრაფოდ მოხდესს კოდექსის 71-ე მუხლში შესაბამისი ცვლილების შეტანა და ამ მკაცრი საკანონმდებლო ნორმის შეცვლა.

ვფიქრობ, ცვლილება უნდა შევიდეს ასევე სს კოდექსის 42-ე მუხლში და სასჯელის სახით აიკრძალოს ჯარიმის გამოყენება, თუ ის არ არის დამატებით სასჯელად სისხლის სამართლის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში გათვალისწინებული.

მიზანშეწონილად მიგვაჩნია აგრეთვე გამასწორებელი სამუშაოს, როგორც სასჯელის სახის გაუქმება და მისი დროში გაწერილ ჯარიმად გარდაქმნა, რომელსაც ბრალდებული გადაიხდის გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

რა თქმა უნდა, ძველი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი ხარვეზებით გამოირჩეოდა, რომელშიც გარკვეული ცვლილებები გაუაზრებლად შევიდა, ბევრი ნორმა გაუმართავი და არასრულყოფილი იყო, რაც შესაბამის გადამუშავებას და ცვლილებებს საჭიროებდა, მაგრამ ამ კოდექსის ხარვეზები და ნაკლოვანებები არ იქნა გათვალისწინებული 2010 წელს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების დროს, რომელიც სწორედ კანონმდებელთა მხრიდან სისხლის სამართლის კანონმდებლობისადმი ზემოაღნიშნული დამოკიდებულების გამო აღმოჩნდა უფრო გაუმართავი, ზოგიერთი საპროცესო ნორმების კუთხით შეიძლება ითქვას უარესიც კი, რომელიც არის ევროპული და ანგლოსაქსური კანონმდებლობის გარკვეული ნაზავი. თუმცა, იმის თქმა, რომ ევროპულ ქვეყნებში და სხვაგანაც ასეთი კანონმდებლობა მოქმედებს, არ ნიშნავს იმას, რომ ის ჩვენთან მთლიანად მისაღებია. ფაქტიურად კოდექსი გაპარტახებული, განადგურებული და სამართლებრივად მოუწესრიგებელია.

ახალი სამართლებრივი ნორმის და განსაკუთრებით კოდექსის ღირსება მისი მოცულობის მუხლობრივ შემცირებაში კი არ უნდა გამოიხატებოდეს, არამედ ნორმები უნდა იყოს სამართლებრივად გამართული, სრულყოფილი და პრაქტიკულად გამოსაყენებელი, განსაკუთრებით როცა ეს ეხება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს.

1998 წლის 20 თებერვალს მიღებულ საქართველოს სსს კოდექსის (დამოუკიდებელი საქართველოს პირველი სსს კოდექსი) 602-ე მუხლის მიხედვით განაჩენი თუ იგი არ გასაჩივრებულა, კანონიერ ძალაში შედიოდა სააპელაციო ან საკასაციო გასაჩივრების ვადის გასვლის შემდეგ, ხოლო სააპელაციო ან საკასაციო საჩივრის შეტანის შემთხვევაში, თუ განაჩენი არ გაუქმებულა, ის კანონიერ ძალაში შედიოდა ზემდგომი სასამართლოს განჩინების გამოტანის დღეს.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი განაჩენის აღსასრულებლად მიქცევა ხდებოდა მისი კანონიერ ძალაში შესვლის დღიდან არაუგვიანეს 7 დღე-ღამისა.

2006 წლის 28 აპრილს აღნიშნულ მუხლში შეტანილი ნაჩქარევი და გაუაზრებელი ცვლილებების თანახმად პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (დადგენილება), სააპელაციო ინსტანციის სასამართლოს განაჩენი (განჩინება), ასევე საკასაციო ინსტანციის სასამართლოს განჩინება კანონიერ ძალაში შედიოდა და აღსასრულებლად მიექცეოდა სასამართლოს მიერ მისი მიღებისთანავე. ასევე, ამავე მუხლში ამოიღეს მე-2 ნაწილი, რომელიც აწესებდა განაჩენის აღსასრულებლად მიქცევის ვადებს.

აღნიშნულ მუხლში შეტანილი არამართებული ცვლილების პათოსი გაიზიარა ახალმა სსს კოდექსმა და 279-ე მუხლის მიხედვით განაჩენი კანონიერ ძალაში შედის და აღსასრულებლად მიექცევა სასამართლოს მიერ მისი საჯაროდ გამოცხადებისთანავე.

განაჩენის გამოქვეყნებისთანავე ძალაში შესვლა და აღსასრულებლად მიქცევა ადრე მოქმედ, პოსტსაბჭოთა პერიოდის სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაშიც კი არ იყო არასდროს გათვალისწინებული.

ამგვარი ნორმის შემოღების და მოქმედების შედეგია ის, რომ გასულ წლებში განაჩენის გამოტანისთანავე ხდებოდა ქონების ჩამორთმევა და შემდგომ სააპელაციო ინსტანციის მიერ, პირის გამართლების შემთხვევაშიც კი ფაქტიურად ჩამორთმეულ ქონებას ვეღარ იბრუნებდნენ, უფრო მართებული იქნება თუ ვიტყვით, რომ აღარ უბრუნებდნენ. ამისათვის საჭირო იყო ძალიან რთული სამართლებრივი პროცედურების გავლა, რადგან ხშირ შემთხვევაში ქონება რეალურად უკვე ჩამორთმეული და შეიძლება გაყიდულიც იყო.

ვფიქრობ, სსს კოდექსის 279-ე მუხლის შინაარსი უნდა ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ იგი განაჩენის ძალაში შესვლისა და აღსასრულებლად მიქცევის საკითხში დაუბრუნდეს ზემოაღნიშნულ, წინანდელი საპროცესო ნორმის მოთხოვნებს.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის გამოჩენა თავიდანვე გარკვეულ სიახლედ ითვლებოდა, რომლის მიზანი იყო სწრაფი და ეფექტიანი მართმსაჯულების უზრუნველყოფა. მაგრამ, უკანასკნელ წლებში ამ ინსტიტუტისადმი დამოკიდებულებამ, მისი არსის არასწორმა გაგებამ, მისდამი არასამართლებრივმა მიდგომამ და პრაქტიკაში არასწორად გამოყენებამ საპროცესო შეთანხმების გარშემო მრავალი შეკითხვა გააჩინა.

ჩვენს კანონმდებლობაში საპროცესი შეთანხმების შემოღება, როგორც ზემოთ აღინიშნა ძირითადად გამიზნული იყო სწრაფი მართმსაჯულების განხორციელებისათვის, კერძოდ ბრალსა და სასჯელზე შეთანხმების საფუძველზე, სასამართლოს შეუძლია საქმის არსებითი განხილვის გარეშე გამოიტანოს განაჩენი. მაგრამ, გასულ წლებში მისმა გამოყენებამ აშკარად დამახინჯებული ფორმა მიიღო, თავისი არსით იგი სხვა მიზნებს ემსახურებოდა, ხშირად ხდებოდა ქონების უკანონოდ ჩამორთმევის, განადგურების და სხვა უკანონო მოქმედებების საფუძველი. ამიტომ, მიზანშეწონილად მიგვაჩნია საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტის შემდგომი სამართლებრივი სრულყოფა.

მოქმედი სსს კოდექსის მიხედვით პატიმრობა, როგორც აღკვეთის ღონისძიება გამოიყენება მხოლოდ მაშინ, თუ ეს ერთადერთი საშუალებაა, რათა თავიდან იქნას აცილებული ბრალდებულის მიმალვა, მის მიერ მართმსაჯულების განხორციელებისა და მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლა და ახალი დანაშაულის ჩადენა.

ამასთან, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით პირს, რომელსაც კონკრეტული დანაშაულის ფაქტზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა ან სხვა სახის ღონისძიება, სხვა ახალი დანაშაულის ფაქტზე წარდგენილ ბრალდებაზე სასამართლოს მიერ კვლავ უნდა შემუშავდეს ახალი აღკვეთის ღონისძიების შერჩევა.

ფაქტიურად, ბუნდოვანია სასამართლომ მეორეჯერ როგორ უნდა იმსჯელოს იმ პირის მიმართ პატიმრობის გამოყენების ზემოაღნიშნულ გარემოებებზე, მაშინ როცა ის უკვე პატიმარია და ვერ შეძლებს ვერც მიმალვას, ვერც მტკიცებულებათა მოპოვებისათვის ხელის შეშლას და შესაბამისად ახალი დანაშაულის ჩადენას.

ასევე, ხშირად ხდება როცა პირს ერთ დანაშაულზე აღკვეთის ღონისძიების სახით შეფარდებული აქვს პატიმრობა, ხოლო სხვა დანაშაულის ჩადენის გამო კი გირაო. აქაც იქმნება გარკვეული უხერხულობა, მარტივად რომ ვთქვათ, პირი რატომ გადაიხდის გირაოს, როცა ის ისედაც პატიმარია. ასევე, ყოველ ახალ ბრალდებაზე ახალი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებისას საჭირო ხდება პირის თავიდან წარდგენა სასამართლოში და სხვა მოქმედებების ჩატარება.

ჩვენი აზრით, ამგვარ გაუგებრობას გარკვეულად იწვევს ის გარემოება, რომ გამოძიების სტადიაზე და სასამართლოში პრაქტიკულად არ იყენებენ სსს კოდექსის 109-ე მუხლით დადგენილ ნორმას სისხლის სამართლის საქმეთა გაერთიანების შესახებ, რომელიც შესაძლებლად მიიჩნევს როგორც ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში თანამონაწილე რამდენიმე პირის ბრალდების, ასევე რამდენიმე დანაშაულის ჩადენაში მონაწილე ერთი პირის ბრალდების ნებისმიერი, რამდენიმე სისხლის სამართლის საქმეების ერთ წარმოებად გაერთიანებას, მათი შინაარსის და სიმძიმის მიუხედავად, რაც ხდება პროკურორის მოტივირებული დადგენილებით ან პროკურორის შუამდგომლობით მოსამართლის (სასამართლოს) დადგენილებით (განჩინებით).

როგორც აღინიშნა ამგვარ, სისხლის სა-

მართლის საქმეთა გაერთიანების ფორმას საგამოძიებო და სასამართლო ორგანოები გარკვეული მოსაზრებების გამო პრაქტიკულად არ იყენებენ, თუმცა მისი გამოყენების შემთხვევაში, ახალი ბრალდების წარდგენისას აღარ იქნება საჭირო ახალი აღკვეთის ღონისძიების შერჩევა და შესაბამისად გამოირიცხება ყოველგვარი გაუგებრობაც ზოგადად აღკვეთის ღონისძიების თუ პატიმრობის გამოყენების საკითხის გადაწყვეტის დროს, ასევე აღარ მოხდება ერთი პირის მიმართ სხვადასხვა ბრალდების საქმეების რამდენიმე სხვადასხვა სასამართლოში ცალკე განხილვა.

ადრე მოქმედი სსს კოდექსის მიხედვით დაზარალებული იყო ბრალდების მხარე და სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი ძირითადი მონაწილე. ამასთან, ამავე კოდექსით დაზარალებულს გააჩნდა ფართო საპროცესო უფლება-მოვალეობანი.

ახალი სსს კოდექსით დაზარალებულის საპროცესო სტატუსი მნიშვნელოვნად დაკნინდა, დაზარალებული უკვე აღარ არის პროცესის აქტიური სუბიექტი და ფართო უფლებებით აღჭურვილი პროცესის დამოუკიდებელი მხარე, რის გამოც, ახალი სსს კოდექსი არ ითვალისწინებს დაზარალებულისათვის ისეთ მნიშვნელოვან ფუნქციას, როგორიც არის გასაჩივრება. მას ენიჭება მხოლოდ მოწმის ყველა უფლება და ეკისრება მისი ყველა მოვალეობა.

ფაქტიურად დაზარალებული უნდა გვევლინებოდეს არა პროცესის უუფლებო ობიექტად, არამედ შესაბამისი საპროცესო შესაძლებლობებით აღჭურვილ პროცესის აქტიურ სუბიექტად, რომელიც პროცესზე და მის შედეგზე გარკვეული ზეგავლენის მოხდენის გზით დაიცავდა კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

მაგრამ, კანონმდებელმა რეფორმის დროს საკმარისად არ გაითვალისწინა აღნიშნული მოთხოვნა. სამწუხაროდ, რეფორმირებულ სისხლის საპროცესო სამართალში დაზარალებული პროცესის „შიშველ ობიექტად“ არის წარმოდგენილი. მას არ გააჩნია საკმარისი პროცესუალური შესაძლებლობები პროცესზე და სასამართლოს გადაწყვეტილებაზე ზეგავლენის მოხდენის გზით მისთვის მინიჭებული უფლებების ჯეროვნად დასაცავად. გამოძიებისა და საქმის არსებითად სასამართლო განხილვის ეტაპზეც იგი პროცესის პასიური მონაწილეა.

სისხლის სამართლის პროცესში ამ უკანასკნელის უფლებამოსილება უნდა სცილდებოდეს მოწმისას, დაზარალებულს უნდა მიენიჭოს პროცესის აქტიური მონაწილის პროცესუალური შესაძლებლობები, როგორც წინასწარი გამოძიების, ისე საქმის სასამართლოში არსებითად განხილვის ეტაპზე.

გარდა ამისა, ნებისმიერ დაზარალებულს უნდა ჰქონდეს ლეგიტიმური ინტერესი და უფლება, მიიღოს ინფორმაცია გამოძიების დამთავრების შესახებ.

ახალი სსს კოდექსით ასევე ნაკლებად არის გათვალისწინებული დაზარალებულის ინტერესი დისკრეციული დევნის პირობებში. მას კანონით სისხლისსამართლებრივიდევნის შესახებ პროკურორის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან გასაჩივრების უფლება გააჩნია.

აღსანიშნავია ისიც, რომ სასამართლოში არ საჩივრდება ასევე გამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილება. იგი შეიძლება ერთჯერადად გაასაჩივროს მხოლოდ დაზარალებულმა, მხოლოდ ზემდგომ პროკურორთან.

როგორც ჩანს, პრაქტიკულად აღარ არსებობს როგორცდისკრეციული უფლებამოსილების გამოყენებით სისხლისსამართლებრივიდევნის დაწყებაზე პროკურორის უარის, ასევე პროკურორის მიერგამოძიების ან/და სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობა. როგორც აღინიშნა, დაზარალებულს უფლება აქვს საჩივრით მიმართოს მხოლოდ ზემდგომ პროკურორს.

ამ მხრივ, ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მნიშვნელოვნად აუარესებს დაზარალებულის უფლებრივ მდგომარეობას, რადგან ის მოკლებულია შესაძლებლობას - სასამართლო კონტროლის მეშვეობით შეძლოს საკუთარი უფლებების და თავისუფლებების დაცვა.

თუ გავითვალისწინებთ იმ სამწუხარო რეალობას, რომ დაზარალებული უკვე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით აღარ წარმოადგენს მხარეს და იგი უფლებრივად გაუთანასწორდა მოწმეს, ძნელი არ იქნება შესაბამისი დასკვნის გაკეთება, რომ უფლებრივი დაცულობის საკითხი დაზარალებულს მნიშვნელოვნად შეუმცირდა.

დაზარალებულს კანონმდებელმა უნდა მისცეს პროკურატურის მიერ სისხლისსამართლებრივ დევნაზე უარის თქმის, გამოძიების ან/და დევნის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება, რის გამოც მიზანშეწონილად ვთვლით ამ კუთხით სსს კოდექსის 106-ე და 168-ე მუხლებში შევიდეს შესაბამისი ცვლილებები.

დაზარალებული, ანუ დანაშაულის მსხვერპლი სისხლის სამართლის პროცესში არა პროცესის ობიექტად, არამედ პროცესის აქტიურ სუბიექტად უნდა იყოს წარმოდგენილი. Aამიტომ, საჭიროა კანონმდებელმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები დაზარალებულის საპროცესო სტატუსთან დაკავშირებით და პროცესში იგი აღიარებული იქნას, როგორც მხარე.

ისე როგორც ადრე მოქმედმა, ასევე უფრო მეტად ახალმა სსს კოდექსმა მნიშვნელოვნად შეასუსტა გამომძიებლის, როგორც სისხლის სამართალწარმოების ერთ-ერთი უმთავრესი ფიგურის საპროცესო სტატუსი, მთლიანობაში კი ზოგადად გამომძიებლის ინსტიტუტი. რეალურად საქმეზე გამომძიებელი ვერანაირ გადაწყვეტილებას ვერ ღებულობს, მას არ გააჩნია ფართო უფლებამოსილება, იგი ფაქტიურად მხოლოდ პროკურორის მითითებებისა და დავალებების შემსრულებლის როლში გვევლინება.

აქედან გამომდინარე, როცა გამომძიებელს არა აქვს სათანადო უფლებამოსილება, შესაბამისად საქმისადმი პასუხისმგებლობასაც ნაკლებად გრძნობს, რის გამოც გარკვეულად დაეცა მათი პროფესიონალიზმი.

საქართველოს სსს კოდექსის მე-3 მუხლის მე-6 ნაწილის მიხედვით ბრალდების მხარეს პროკურორთან ერთად წარმოადგენს გამომძიებელი. ვფიქრობთ, ეს არის ფორმალური ჩანაწერი, რადგან დისკრეციული სისხლისსამართლებრივი დევნის ფუნქციას ფაქტიურად მხოლოდ პროკურორი ახორციელებს, რაც დადგენილია სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით.

ამიტომ, მიზანშეწონილად მიმაჩნია, რომ გამომძიებლის საპროცესო სტატუსს ჩამოცილდეს ბრალდების ფუნქცია და გამომძიებელი იყოს მიუკერძოებელი, ნეიტრალური თანამდებობის პირი, რომელსაც უნდა დაეკისროს მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის სრულყოფილი, ობიექტური გამოძიება. ამასთან, საჭიროა გამომძიებლის, როგორც სამართალწარმოების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მონაწილის საპროცესო სტატუსისა და ფუნქციების გაფართოება, მისი საპროცესო დამოუკიდებლობის გაზრდა.

ადრე მოქმედი საქართველოს ორგანული კანონის „საერთო სასამართლოების შესახებ“ მე-13 მუხლის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლო იქმნებოდა რაიონში, გარდა ქალაქის რაიონისა, ხოლო საქალაქო სასამართლო იქმნებოდა ქალაქში, რომელიც არ შედიოდა არცერთ რაიონში.

2009 წელის დეკემბერში „საერთო სასამართლოების შესახებ“ მიღებული ახალი ორგანული კანონის 27-ე მუხლის თანახმად შეიცვალა რაიონული და საქალაქო სასამართლოს შექმნის წესი და რაიონული სასამართლო იქმნება მუნიციპალიტეტში (მუნიციპალიტეტებში), ხოლო საქალაქო სასამართლო თვითმართველ ქალაქში. ამასთან, ამავე კანონის თანახმად საქალაქო სასამართლოს სამოქმედო ტერიტორია თვითმართველ ქალაქთან ერთად შეიძლება მოიცავდეს მუნიციპალიტეტსაც (მუნიციპალიტეტებსაც).

აღნიშნული კანონის შემოღებისთანავე საქართველოს სინამდვილეში შეიქმნა ისეთი რაიონული და საქალაქო სასამართლოები, რომლებიც აერთიანებს რამდენიმე მუნიციპალიტეტს (რაიონს).

იმის მიუხედავად, რომ ზემოაღნიშნული კანონის თანახმად რაიონული (საქალაქო) სასამართლო შედგება არანაკლებ ორი მოსამართლისაგან, ხოლო მათ შემადგენლობაში შედის აგრეთვე მაგისტრი მოსამართლე, რომელიც თავის უფლებამოსილებას ახორციელებს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, მიზანშეწონილად მიმაჩნია ყველა მუნიციპალიტეტში აღდგეს რაიონული სასამართლო, სადაც უნდა იყოს არა მარტო მაგისტრი, არამედ სრულუფლებიანი მოსამართლე, რომელიც ადგილზე, ცალკეულ მუნიციპალიტეტში შექმნილ რაიონულ სასამართლოში განიხილავს ყველა კატეგორიის საქმეებს.

ამის დასასაბუთებლად არაერთი არგუმენტის მოყვანა შეიძლება.

ამჟამად მოქმედი აღნიშნული საკანონმდებლო ნორმის მიხედვით ცალკეულ მუნიციპალიტეტში (რაიონში) ჩადენილ დანაშაულთა ფაქტზე გამოძიებული სისხლის სამართლის თითქმის ყველა კატეგორიის საქმე, გარკვეული გამონაკლისისა, ქვემდებარეობით განსახილველად ეგზავნება რაიონულ სასამართლოს, რომელიც აერთიანებს რამდენიმე მუნიციპალიტეტს (რაიონს), რის გამოც სამართალწარმოებაში მონაწილე მხარეებს ყოველი კონკრეტული საქმის სასამართლო განხილვის დროს უხდებათ იმ რაიონში ჩასვლა, სადაც მოქმედებს რაიონული თუ საქალაქო სასამართლო, რომელიც მასში შემავალი მუნიციპალიტეტის სოფლებიდან ასეული კილომეტრით არის დაშორებული, რაც გარკვეულ დროსთან, ტრანსპორტირებასა და დიდ ხარჯებთან არის დაკავშირებული, რისი საშუალებაც მოსახლეობის დიდ უმრავლესობას არ გააჩნია.

ამ მიზეზით მხარეები ხშირად ვერ ცხადდებიან სასამართლოში, რაც საქმეთა სასამართლო განხილვის გაჭიანურებას იწვევს, ხელს უშლის საქმის სასამართლო წარმოებას, მართმსაჯულების სწორ და ეფექტურ განხორციელებას. თუნდაც, აღნიშნული ფაქტიც მოწმობს იმ გარემოებაზე, რომ ყველა მუნიციპალიტეტში (რაიონში) და ქალაქში უნდა იყოს შესაბამისი სასამართლო.

ზემოაღნიშნულ, ზოგიერთ საკანონმდებლო ცვლილებათა მოკლე ანალიზიც ცხადყოფს, რომ საჭიროა გარკვეული ფორმით სისხლის სამართლის ზოგიერთი ნორმის ლიბერალიზაცია.

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ახალმა ხელისუფლებამ და საქართველოს პარლამენტმა დაიწყო ფართო საკანონმდებლო საქმიანობა, სვლა აგრესიული საკანონმდებლო დილეტანტიზმიდან ნორმალურ საკანონმდებლო საქმიანობისაკენ, რაც კონკრეტულად სამართლიან და ობიექტურ საკანონმდებლო ცვლილებებში აისახა, მაგრამ საკანონმდებლო ორგანოს ყურადღება უნდა მივაპყრო იმ გარემოებაზე, რომ სამწუხაროდ პრაქტიკულად ძირითადად მაინც ადრე მიღებული სამართლის ნორმები მუშაობს და სამართალწარმოება იმავე კანონმდებლობით ხორციელდება, ამასთან ხარვეზები სისხლის სამართლის კანონმდებლობაში რადიკალურად არ იცვლება, არ ხდება მათი განხილვა და შეცვლა დაჩქარებული ტემპით.

რა თქმა უნდა, კარგია, რომ კანონმდებლობაში ჯერ კიდევ არსებული ხარვეზების და ზოგადად საკანონმდებლო ცვლილებების შესახებ აქტიურობასიჩენენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც ინიციატივებს და არაერთ საკანონმდებლო ცვლილების პროექტებს სთავაზობენ საქართველოს პარლამენტს, მაგრამ პირველ რიგში ამგვარი კანონპროექტები უნდა განიხილოს ამ დარგის თეორეტიკოსებმა და შესაბამისი რჩევა მისცენ ასეთ ორგანოებს.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ როცა მუშაობა მიდის საკანონმდებლო საკითხებზე, რაზედაც მრავალი კომისია თუ ჯგუფი იქმნება, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში, მასში იშვიათად იწვევენ თეორეტიკოს და პრაქტიკოს იურისტებს ან, თუ იწვევენ მხოლოდ ისეთ პირებს, ვისაც შესაბამისი გამოცდილება არა აქვს, ამასთან მთავარია არა მარტო მონაწილეობა, არამედ მათი აზრის გათვალისწინებაც.

იმედია, ამგვარი და სხვა ნორმები, რომლებზეც დღეს არ გვქონია მსჯელობა, თანდათანობით გაუქმდება, შეიცვლება და მოვა სრულ შესაბამისობაში სისხლის სამართლის კანონმდებლობასთან.

მნიშვნელოვანია საკითხი ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის შესახებ. დამნაშავე პირთა წარსული საქმეების გამოძიება, მათი სწორად განხილვა პირდაპირ უკავშირდება საქართველოში სამართლიანობის აღდგენას, კანონის უზენაესობისა და დემოკრატიულ ინსტიტუტებზე დაფუძნებული სახელმწიფოს მშენებლობას.

ზოგადად ქვეყანაში სამართლიანობა მხოლოდ მას შემდეგ იზეიმებს, როცა ყველა დამნაშავე კანონის წინაშე პასუხს აგებს. სწორედ ამის შემდეგ შეიძლება საქართველო შედგეს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფო.

საქართველოში უკანასკნელ წლებში სამართლიანობის კუთხით განვითარებული მახინჯი მოვლენების შემდეგ ხალხი სწორად მოითხოვს სამართლიანობის აღდგენას და წინა რეჟიმის კონკრეტული დამნაშავე ჩინოვნიკების დასჯას. რაც უფრო დიდხანს გაჭიანურდება სამართლიანობის აღდგენა, ხალხი სამართლიანად ეჭვობს და ფიქრობს ხელისუფლება ხომ არ აპირებს უამრავ დანაშაულში შენიშნული პირებისათვის ხელის დაფარებას.

სწორედ ხელისუფლების მხრიდან დამნაშავეთა მიმართ შემრიგებლური დამოკიდებულებით, წარსულის დანაშაულთა დავიწყებისა და გამოუძიებლობით, დამნაშავე პირთა დაუსჯელობით გატანჯულ და თავმობეზრებულ საზოგადოებას აშკარა შიში და პროტესტი გაუჩნდა, რაც ლოგიკურია იმ ქმედებისა, რასაც თავად ხელისუფლება იჩენს.

უკანასკნელ პერიოდში საქართველოში არაერთი პირია სამართლებრივად რეაბილიტირებული, ასეულობით პირია ცნობილი პოლიტიკურ პატიმრად, მაგრამ რატომღაც ჭიანურდება სამართლიანობის აღდგენა და თუნდაც უკანონოდ ჩამორთმეული ქონების დაბრუნება.

რა თქმა უნდა ყველაფერი ერთბაშად ვერ გადაწყდება, მაგრამ ვფიქრობთ საჭიროა პროცესის დაჩქარება, ყველა ამგვარი საქმეების გადახედვა, კონკრეტულ უფლებადარღვეულ პირთა საჩივრების განხილვა.

სამართლიანობის აღდგენა რთული პროცესია, მაგრამ სახელმწიფოს რაც არ უნდა დაუჯდეს, სამართლიანობა უნდა აღდგეს. ქვეყანაში არ უნდა შეიქმნას იმის პრეცენდენტი, რომ შეიძლება დანაშაული ჩაიდინო და ამის გამო არ დაისაჯო. საზოგადოებას ამგვარი აზრი არ უნდა ჩამოუყალიბდეს.

ვფიქრობ, ქვეყანა ცუდ შედეგებამდემივა, თუ არ აღდგა სამართლიანობა. ამასთან, ეს უნდა მოხდეს ისე, რომ არ დაირღვეს უდანაშაულობის პრეზუმფცია. ამ პრინციპის დაცვა არის აუცილებელი. წარსულში არსებული პრეცენდენტები, უდანაშაულო ადამიანის დასჯის, სასტიკი და არაადამიანური მოპყრობის, გაუპატიურების, წამების, ღირსების, დამცირებისა და სხვა დანაშაულის შესახებ ახალმა ხელისუფლებამ აღარ უნდა გაიმეოროს.

აღნიშნული პრობლემების მოგვარების ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა საკადრო საკითხების სწორი და სამართლიანი გადაწყვეტა. თუმცა, სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ამ კუთხით საქართველოში სამართალდამცავ უწყებებში და სასამართლო ხელისუფლებაში რადიკალურად თითქმის არაფერი შეცვლილა. ადრე არასამართლიანი გადაწყვეტილებების მიმღები პირები დღესაც მუშაობენ ამ სტრუქტურებში და გადაწყვეტილებას კვლავ ისინი იღებენ. როცა ადამიანი ხედავს, რომ მის ბედს იგივე პირი წყვეტს, რა რწმენაზეა ლაპარაკი. სწორედ ამიტომ გაჩნდა საზოგადოებაში ნიჰილიზმი და უნდობლობა.

უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადი კორპუსი, ვინც მართმსაჯულებას ახორციელებს თითქმის იგივეა. ძირეული ცვლილებები არც ამ სისტემაში მომხდარა.

რა თქმა უნდა, ძნელია ყველაფრის ერთბაშად შეცვლა, რადგან სამართალდამცავ და მართმსაჯულების სფეროში დასაქმებული პირი, რომელიც გადაწყვეტილებას იღებდა დაკვეთით, მიკერძოებულად, ძნელი წარმოსადგენია, რომ ის უცებ გარდაიქმნას და მიიღოს სამართლიანი გადაწყვეტილება.

თუმცა, მათგან ხშირად ისმის თავის მართლება, რომ ისეთი რეჟიმი იყო და რა უნდა ექნათ, მაგრამ ასეთი მიდგომა არასწორია. ამ კატეგორიის კადრების საქმიანობა უფრო სახიფათოა, რადგან როგორც კი შეიცვლება სიტუაცია, ისინიც იმგვარად იმოქმედებენ.

ვფიქრობ, საჭიროა სამართალდამცავ ორგანოებში სწორი საკადრო პოლიტიკის გატარება, პროფესიონალთა დასაქმება, მათი ცოდნისა და გამოცდილების გამოყენება.

აღნიშნული საკითხების გადაწყვეტაში მნიშვნელოვანია აგრეთვე საზოგადოების აქტიურობაც, რათა ხელისუფლებამაც აქტიურად იმოქმედოს.

გივი აბაშიძე,
სამართლის დოქტორი

თეოლოგიის საჭიროებისათვის

თეოლოგია ბერძნული სიტყვაა და ქართულად ითარგმნება, როგორც ღვთისმეტყველება. იგი უძველესი მეცნიერებაა. სახელდობრ, მისით იწყება პირველი ევროპული უნივერსიტეტები. ზოგიერთ თეოლოგიურ ფაკულტეტს ევროპაში თითქმის 1000 წელი შეუსრულდა. ყველაზე ავტორიტეტულ უნივერსიტეტებში თეოლოგია წამყვანი დისციპლინაა. თანამედროვე თეოლოგია მძლავრი საგანმანათლებლო მიმართულებაა, იგი სპეციალობათა და მეცნიერებათა კომპლექსია. მასში შედის ისეთი მეცნიერებები, როგორებიცაა: ბიბლეისტიკა, ისტორიული ლიტურგიკა, ეკლესიის ისტორია, საეკლესიო არქეოლოგია, საეკლესიო ხელოვნება, პატროლოგია, რელიგიათა ისტორიები, რიგი ფსიქოლოგიური დისციპლინები: ქრისტიანული ეთიკა, რელიგიური ფილოსოფია, კანონიკური სამართალი და სხვა. ყველა ეს დისციპლინა წარმოდგენილია დასავლური განათლების სისტემაში და ევროპული ჰუმანიტარული კულტურის განუყოფელი ნაწილია. მეთოდოლოგიური თვალსაზრისით იგი ჩვეულებრივი ჰუმანიტარული დისციპლინაა. აქვე უნდა ითქვას, რომ თეოლოგიის სიღრმისეული ცოდნის გარეშე სხვა ჰუმანიტარული დისციპლინები ერთგვარად ნაკლულოვანია. მაგ. შეუძლებელია ღირებული გამოკვლევა დაიწეროს რუსთაველზე, დანტეზე, შექსპირზე, დოსტოევსკიზე, ჩესტერტონზე და ა.შ. ქრისტიანობის არსის ცოდნის გარეშე , ან ხელოვნება შევისწავლოთ ფრესკული ფერწერისა და ხატწერის იგნორირებით, რომ არაფერი ვთქვათ ფილოსოფიაზე, განსაკუთრებით მის თანამედროვე მიმართულებებზე, ფსიქოლოგიაზე და ა. შ.

სწორედ ამიტომ, **თეოლოგია,** როგორც ცალკე აღებული გამსხვილებული სპეციალობების ჯგუფი, შედის ძირითადად საგანმანათლებლო საერთაშორისო კლასიფიკატორებში. განათლების საერთაშორისო სტანდარტულ კლასიფიკაციაში (გსსკ-2011), რომელიც მიიღო იუნესკოს 36-ე სესიამ, მკაფიოდ იქნა გამოყოფილი „რელიგია და **თეოლოგია**“ - „ფილოსოფიისა და ეთიკისაგან“. აშშ-ს ნაციონალური საგანმანათლებლო ცენტრის სტატისტიკაში (NCES), საგანმანათლებლო პროგრამების კლასიფიკატორი (CIP 2010) გამოყოფს ფილოსოფიურ-რელიგიურ მიმართულებიდან ჯგუფს - „თეოლოგია და რელიგიური მსახურება“ (Theology and Religious Vocation) და შეიცავს შემდეგ სპეციალობებს: ბიბლეისტიკა, მისიოლოგია, რელიგიური განათლება, რელიგიური მუსიკა, მოძღვრობა და სპეციალიზებული მსახურება.

დასავლეთ ევროპისა და ამერიკის **ყველა** წამყვან **საერო** უნივერსიტეტში არის **თეოლოგიის ფაკულტეტები** და თეოლოგია შეისწავლება როგორც ცალკე სამეცნიერო დისციპლინათა ჯგუფი. ამასთან, სწავლებას შეიძლება ჰქონდეს როგორც კონფესიური, ისე არაკონფესიური ხასიათი. მაგ. ოქსფორდის უნივერსიტეტში თეოლოგიური ფაკულტეტი არაკონფესიურია, თუმცა უნივერსიტეტში არის კოლეჯები და სამეცნიერო ცენტრები, რომლებიც ეკუთვნით ანგლიკანებს, კათოლიკეებს, მართლმადიდებლებს და სხვა კონფესიათა წარმომადგენლებს.

ისტორიულ დისკურსში **თეოლოგია** არის ანტიკური ტერმინი. ძველი ბერძნები თეოლოგს უწოდებდნენ ადამიანს, რომელიც ასწავლიდა „ღმერთებზე“ (არისტოტელე, პლატონი). ქრისტიანულ სარწმუნოებაში თეოლოგია გაიგება, როგორც სიტყვა (logos) ღმერთისა (Qeos) მასზე, ანუ თავის თავსა და მის მიერ შექმნილ სამყაროზე. ამ შემთხვევაში თეოლოგია თავისი შინაარსით საღვთო გამოცხადების იდენტურია. მეორე, უფრო გავრცელებული მნიშვნელობით იგი არის-ეკლესიის ან რომელიმე ცალკეული ღვთისმეტყველის მოძღვრება ღმერთის შესახებ. არსობრივად ამგვარი სწავლება გვევლინება, როგორც დამოწმება ამა თუ იმ ავტორის მიერ საღვთო გამოცხადების გააზრებისა. პირველ ქრისტიან თეოლოგებთან, ანუ აპოლოგეტებთან, თეოლოგია გაიგება როგორც მოძღვრება სამების შესახებ, ხოლო დანარჩენი ნაწილი სჯულისა (სამყაროს შექმნა, ღვთის სიტყვის განკაცება, ხსნა, მეორედ მოსვლა და ა.შ) მიეკუთვნებოდა საღვთო აღმშენებლობას ანუ საღვთო იკონომიის (oikonomia, ბერძ. სახლის მმართველობის ხელოვნება) სფეროს, რაც ნიშნავს საღვთო ქმედებას სამყაროში, მის განგებას უქმნელი ენერგიებით, სამყაროს ხსნას. დღეს თანამედროვე საეკლესიო თეოლოგიად მოიაზრება რელიგიურ მეცნიერებათა ერთობლიობა, რომელთა შორის განასხვავებენ - ძირითადს, შედარებითს, ზნეობრივს, სამოძღვროს, ლიტურგიკულს, მაგრამ საკუთრივ თეოლოგიად იწოდება დოგმატური, ანუ დოქტრინალური.

ადრეულ და შუა საუკუნეებში ეკლესიის თეოლოგ მამათა შორის გამოიყო სამი ადამიანი, რომელთაც ტიტულის რანგში მიენიჭათ თეოლოგის წოდება. პირველი არის იოანე მოციქული, ავტორი მეოთხე სახარებისა, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა (დოკუმენტურად გააფორმა) მოძღვრებას სამებაზე და გვევლინება იმ რგოლად, რომელიც აკავშირებს საღვთო გამოცხადებას წმ. მამათამიერ თეოლოგიასთან. მეორეა წმ. გრიგოლ ნაზიანზელი-თეოლოგი, რომელმაც დაიცვა დოქტრინა სამებაზე ცხარე ტრინიტარული დისკუსიებში IV ს-ში და ბოლოს სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი (თეოლოგი) X-XI სს მოღვაწე, რომელმაც პირადი გამოცდილების საფუძველზე ენკომია შეასხა თავის „ღვთაებრივ ჰიმნებში“ ადამიანის შეერთებას სამება-ღმერთთან, ანუ „თეოზისის“ პრობლემის გასაღები მისცა კაცობრიობას.

პირველად სიტყვა „თეოლოგია“ ქრისტიანულ ლექსიკაში შემოიტანა II ს. II ნახევრის აპოლოგეტმა ათენაგორა ათენელმა, თუმცა ქრისტიანულ ლექსიკონში იგი შედარებით გვიან დამკვიდრდა ძირითადად ალექსანდრიული საღვთისმეტყველო სკოლის წყალობით, მისი წარმომადგენლების-კლიმენტი ალექსანდრიელისა და განსაკუთრებით, ორიგენის მეშვეობით. ძველი თეოლოგები, რომლებიც იყენებდნენ ამ ტერმინს, ხშირად იმ აზრს დებდნენ მასში, რაც მნიშვნელოვნად განსხვავდება იმისგან, როგორადაც ის გვესმის ჩვენ დღეს. მაგ. ევაგრე პონტოელი (IVს) წერდა: ''თუ შენ თეოლოგი ხარ, ჭეშმარიტად ილოცებ, და თუ ჭეშმარიტად ლოცულობ-ხარ თეოლოგი''. თეოლოგია მათთან სულიერი მჭვრეტელობის 8 ხარისხს შორის უმაღლესია, იგი ესქატოლოგიური მომავლის რეალობაა, რომელიც ადამიანს უფლებას ანიჭებს გამოვიდეს სულიერად საკუთარი თავიდან და მიეცეს აღტაცებას. ეს არის ერთგვარი აპოფატური ზეაღსვლა ადამიანური სულისა მისტიური თვალსაზრისით. „თეოზისის განცდა“, უმაღლეს რეალობასთან კავშირი, რა თქმა უნდა, არ გამორიცხავდა თეოლოგიის, როგორც მოძღვრების სისტემურ გადმოცემას ვერბალურად, ანუ სამეცნიერო დონეზე, რადგან ადამიანური გონების, შემეცნების გამოყენება აუცილებელია. გონება ღვთის ნაბოძებია და მისი უარყოფა არ შეიძლება, მაგრამ ასეთი გაგება იყო მეორეული. უპირველეს ყოვლისა, თეოლოგია გაიგებოდა როგორც ღვთის ხილვა, რომელიც გულისხმობდა არა მხოლოდ ადამიანური გონების მუშაობას, არამედ ადამიანური პიროვნების სრულ მონაწილეობას, როცა უნდა ჩაირთოს ინტუიტიური სულიერი მიღწევის შესაძლებლობანი, ის, რაც პატროლოგიის ენაზე იწოდება ბერძნული სიტყვით- noys (გონება) და მასში მონაწილეობს გული (kardia), ბიბლიური და არა ანატომიური მნიშვნელობით. ეკლესიის მამებთან „თეოლოგია“ (Theologia) პრაქტიკულად სინონიმია სიტყვისა „თეორია“ (Theoria) - შემეცნება, რაც გულისხმობს უშუალო ურთიერთობას ცოცხალ შემოქმედთან, უწყვეტ კავშირს მასთან. თეოლოგთა გაგებით, ნამდვილი ღვთისმეტყველება უპირველესად გონით საწვდომი სქემები და სახელმძღვანელოები კი არ არის მხოლოდ, არამედ ყოველთვის აპოფატურად მისტიურია და დოქსოლოგიური. თანამედროვე ბერძენი ფილოსოფოსი- ქრისტოს იანნარასი განაზოგადებს რა ეკლესიის მამების ისტორიულ გამოცდილებას, თეოლოგიის შესახებ წერს: „ეს არის ძღვენი ღვთისა, ნაყოფი შინაგანი სიწმინდისა, ... იგი იგივდება ღვთის ხილვასთან, უშუალო ხილვასთან პიროვნული ღმერთისა, ქმნილების ფერიცვალებისა შეუქმნელი მადლით“. ბიბლიაში მოხსენებულია 4 ტერმინი, რომელებიც აჩვენებს თეოლოგიის შინაგან მონაცემებს, რომელთაც განაზოგადებენ თეოლოგები: 1) charisma - ძღვენი, საბოძვარი ღვთისა; 2) mysterion - საიდუმლონი; 3) Katharsis - განწმენდა; 4) hesychia - მყუდროება, მდუმარება. მაგრამ საეკლესიო პრაქტიკის გვერდით, ყოველივე ეს საეკლესიო თეოლოგიის კვლევის **ერთერთი** ძირითადი საგანია, რომელიც გულისხმობს მის თეორიულ შესწავლას. ზემოთ აღნიშნული **მეორეული** გაგება, ანუ სკოლარული თეოლოგია ამ შემთხვევაში არის საუნივერსიტეტო სწავლების მიზანი.

ისტორიული მონაცემების კვლევასთან ერთად, თუ რა არის თეოლოგია, რამდენად მეცნიერულია იგი და რით განსხვავდება ფილოსოფიისაგან, წამოიჭრა თითქმის თანადროულად მისი მეცნიერებად ჩამოყალიბებისას (თანამედროვე გაგებით) და დაყოფად, როგორც დამოუკიდებელი საუნივერსიტეტო დისციპლინებისა (თეოლოგიურ ფაკულტეტებზე). მიუხედავად ამ დაყოფისა, კავშირი თეოლოგიისა ფილოსოფიასთან და სხვა ჰუმანიტარულ საგნებთან შეუძლებელია უგულვებელყოფილ იქნას. ზემოთ აღნიშნული იყო, თუ რა როლს თამაშობს თეოლოგია და რა მნიშვნელობა აქვს მას ჰუმანიტარული მეცნიერებების განვითარებაში. დავუმატებთ, რომ ამის მაგალითად გამოდგება ის ფილოლოგიური მიღწევები, რომლებმაც შეიყვანა თეოლოგიური დისკურსი „ტექსტის კრიტიკის“ გაგებაში, ეგზისტენციალისტთა თხზულებები, რომელთაც გავლენა მოახდინეს თავის მხრივ თანამედროვე ქრისტიანული ეგზეგეტიკის ფორმირებაში და სხვა. რაში მდგომარეობს თანამედროვე თეოლოგიური სამუშაოს სპეციფიკა? მეცნიერ თეოლოგს, განსხვავებით რელიგიათმცოდნისაგან, სხვადასხვა თეოლოგიური ტექსტი აინტერესებს მშობლიურ საეკლესიო კონტექსტში, ასევე სისტემური ანალიზი და მისი ურთიერთობა სხვა სისტემებთან: სახელმწიფოსთან, რელიგიებთან, ხელოვნებასთან და მეცნიერებასთან. თეოლოგია შეიძლება გაიგებოდეს ასევე, როგორც თვითრეფერენტული სისტემა სოციალური კომუნიკაციისა. მსოფლიოს წამყვან საერო უნივერსიტეტებში შეისწავლება ისეთი საგნები, როგორიცაა -თეოლოგიური ეკონომიკა, სამართალი და ა.შ. თეოლოგიური სისტემა ხასიათდება შემდეგი პრობლემებით: 1) ცენტრალური პრობლემა; 2) მისი გადაწყვეტის პროგრამები; 3) სოციალური ფუნქციები.

ცენტრალური პრობლემა არის რწმენის ფენომენი. რწმენა განეკუთვნება ადამიანის ფუნდამეტურ შესაძლებლობებს, რომელიც საერთოა ადამიანური რასებისათვის ყველა ისტორიულ ეპოქაში. თუმცა, განსხვავებით ბუნებრივი ხასიათის შესაძლებლობებისაგან, რწმენა ეძლევა ადამიანს როგორც შესაძლებლობა, რაც გულისხმობს გააზრებულ ურთიერთობას მასთან. გწამდეს ან არ გწამდეს-ეს არის ის საკითხი, რომელიც ყველა კონკრეტულ შემთხვევაში ითხოვს განსაზღვრებას. ეს კი ადვილი სულაც არ არის. რწმენის ფენომენი ეს არ არის „დამტკიცებული ვარაუდი“, რაც ხშირად იწოდება თანამედროვე ეპოქაში „რწმენად“. რწმენის საკითხი ძალზე ფართოა. ადამიანური მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში არსებობს ინფორმაციის ნაკლებობა და აქედან გამომდინარე აუცილებლობა გადაწყვეტილების მიღებისა ჰიპოთეზებიდან, რომელებიც მეტ-ნაკლებად მისაღები ვარაუდებია. მიუხედავად ამისა, რწმენის აქტის აუცილებელ პირობად გვევლინება რეალობის პოზიტიური შემეცნება, მისი ჩათვლა შესაძლებლად, აუცილებლად, ყველაზე ხშირად ლოგიკურად აუხსნელად და ა.შ. ადამიანი იძულებულია ერწმუნოს ამა თუ იმ ვარაუდს რეალობაზე, რომელიც მას არ შეუძლია შეამოწმოს ახლა და ამწუთას. რელიგია სთავაზობს მას ამ შემოწმებას დროში. რწმენა ყოველთვის რისკია და ხშირად ცხოვრებისეული აუცილებლობაცაა. იმ საკითხის გადასაწყვეტად, ვის და რას შეიძლება ერწმუნოს ადამიანი, თეოლოგია ამუშავებს თავის საკუთარ ინტელექტუალურ ინსტრუმენტალიებს. ესაა მისი მოქმედების პროგრამა. ამგვარი თეოლოგიური სამუშაო რამდენადმე გამოყოფს თეოლოგიას როგორც რელიგიისაგან, ისე ფილოსოფიისაგან, თუმცა ბევრ რელიგიურ და ფილოსოფიურ სისტემაში დომინირებს თეოლოგიური ხასიათის მტკიცებულებანი.

თანამედროვე თეოლოგიური მეცნიერების კორპუსი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს ქრისტიანული თეოლოგიის მაგალითზე.

1) სისტემატური თეოლოგია:

ა) ტრიადოლოგია - სწავლება ყოვლადწმ. სამებაზე;

ბ) ანგელოლოგია - სწავლება ანგელოზებზე;

გ) ანთროპოლოგია - სწავლება ადამიანზე;

დ) ქრისტოლოგია - სწავლება ქრისტეს ორი ბუნების შესახებ;

ე) სოტერიოლოგია - სწავლება ხსნის, ანუ გადარჩენის გზების შესახებ;

ვ) ეკლესიოლოგია - სწავლება ეკლესიაზე;

ზ) იკონოლოგია - სწავლება ხატების შესახებ;

თ) საკრამენტოლოგია-სწავლება საიდუმლოთა შესახებ;

ი) ესქატოლოგია-სწავლება სამყაროს მომავალზე და მის ბედზე;

2) დოგმატური ღვთისმეტყველება - სწავლება სარწმუნოების დოქტრინებზე;

3)ძირითადი ღვთისმეტყველება (აპოლოგეტიკა)-სარწმუნოების დასაბუთება რაციონალური საშუალებებით;

4) შედარებითი ღვთისმეტყველება-კომპარატიული ანალიზი ბაზისური სარწმუნოებისა სხვა რელიგიებთან შედარებით;

5)სამოძღვრო ღვთისმეტყველება;

6) ლიტურგიკული თეოლოგია-ღვთისმსახურების თეორია და პრაქტიკა;

7)ჰომილეტიკა-საეკლესიო მჭევრმეტყველების თეორია და პრაქტიკა;

8) კატეხიტიკა-თეოლოგიის შესავალი, სარწმუნოების პირველსაწყისები;

9)კანონიკა-საეკლესიო სამართლის თეორია;

10) თეოლოგიური ეკონომიკა;

11)ზნეობრივი ღვთისმეტყველება.

12) ბიბლიური თეოლოგია:

ა) ეგზეგეტიკა-ბიბლიურ ტექსტთა ინტერპრეტაცია;

ბ) ჰერმენევტიკა-რელიგიურ წყაროთა განმარტების თეორია და მეთოდოლოგია;

გ) ისაგოკიკა.

13) ისტორიული თეოლოგია:

ა)ბიბლიური არქეოლოგია;

ბ)ბიბლიური ისტორია;

გ) ეკლესიის ისტორია;

დ) ბიზანტინოლოგია;

ე) ადგილობრივ ეკლესიათა ისტორია;

ვ) საქართველოს ეკლესიის ისტორია.

საუნივერსიტეტო თეოლოგიურ დისციპლინებში შეიძლება რამდენიმე მომიჯნავე დარგი გაერთიანდეს და სალექციო კურსი შედგეს. რას მოგვცემს ჩვენს საუნივერსიტეტო სივრცეში, თუნდაც მაინორის სახით, თეოლოგიის შემოტანა: სტუდენტი დაეუფლება თეოლოგიურ ცოდნას და ჩამოყალიბდება სპეციალისტად. ობიექტური ინფორმაციის საფუძველზე ექნება ტოლერანტული პოზიცია განსხვავებული შეხედულების, ტრადიციებისა და კულტურის მიმართ. შეისწავლის ბიბლიურ წიგნთა შინაარსს, მათი ჩამოყალიბების ისტორიას, ისტორიულ და კულტურულ კონტექსტს. გააცნობიერებს თეოლოგიურ საზრისს. ეცოდინება ეკლესიის ისტორია, მისი ძირითადი მოძღვრება, გაიაზრებს საეკლესიო ხელოვნების, ლიტურგიკული ტრადიციების, საეკლესიო კულტურის, საკრამენტული ცხოვრების არსს. ისწავლის თეოლოგიურ და ფილოსოფიურ მოდელთა გაცნობიერებას. ერთმანეთს შეადარებს სხვადასხვა რელიგიური სისტემისა და რწმენის ფორმათა განვითარების პროცესს. ამ საფუძველზე მიღებული ცოდნით შეძლებს სხვადასხვა რელიგიის წარმომადგენლებთან კომუნიკაციას. შეიძენს რელიგიით, რწმენითა და თეოლოგიით დაინტერესებული ადამიანებისათვის თეოლოგიური ცოდნის გადაცემის უნარს. ზოგადად კი შეიძლება ითქვას, რომ თეოლოგიური ცოდნა ამარცხებს აგრესიულ რელიგიურ ექსტრემიზმს.

ზოთა ჯიჯიეშვილი,
ფილოლოგიის დოქტორი,
ბსუ-ს ჰუმანიტარულ
მეცნიერებათა ფაკულტეტის
დეკანის მოადგილე

ხარება

ღვთისმშობელო ქალწულო, გიხაროდენ, მიმადლებულო მარიამ, უფალი შენთანა, კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის და კურთხეულ არს ნაყოფი მუცლისა შენისა, რამეთუ მაცხოვარი გვიშევ სულთა ჩვენთა.

ერთ-ერთ უდიდეს საუფლო დღესასწაულს, რომელსაც წმიდა ეკლესია 25 მარტს (ახ. სტილით 7 აპრილს) აღნიშნავს, ხარება ეწოდება. ამ დღეს ყოვლადწმიდა მარიამთან ერთად მთელ კაცობრიობას ეუწყა, რომ სახიერმა ღმერთმა ადამიანი სიკვდილისა და ცოდვის სამუდამო ტყვეობისათვის ვერ გაიმეტა და ეშმაკის მონობისაგან მისი გამოხსნა გადაწყვიტა. ეს დღე არის დასაბამი „ჩვენი ცხონებისა და გამოჩინებასა უკუნოითგან დამალულისა საიდუმლოისა“.

უფალმა იესო ქრისტეს შობამდე დიდი ხნით ადრე აღუთქვა კაცობრიობას, რომ მხსნელს, მესიას მოუვლენდა, რომელსაც შობდა ქალწული და უწოდებდა სახელად ემანუელს, რომელიც ითარგმანება როგორც „ჩვენთან არს ღმერთი“.

და აი, მიავლინა უფალმა მთავარანგელოზი გაბრიელი გალილეის ქალაქ ნაზარეთში ქალწულ მარიამთან, რომელიც დაწინდული იყო იოსებზე, დავითის მოდგმის შთამომავალზე.

წარუდგა ანგელოზი ქალწულს და უთხრა: „გიხაროდენ, მიმადლებულო, უფალი შენთანაა. კურთხეულ ხარ შენ დედათა შორის“. მარიამი შეაძრწუნა მისმა სიტყვებმა და გაიფიქრა: „ვითარ-მე არს მოკითხვა? ესე?“ ანგელოზმა უთხრა: „ნუ გეშინინ, მარიამ, რამეთუ ჰპოვე მადლი წინაშე ღმრთისა. და აჰა, ესე რა შენ მუცლადიღო და ჰშვაძედა უწოდო სახელი იესუ“.

მარიამის ძეს ღმერთი დავითის საყდარს ანუ ისრაელის სამეფო ტახტისა და იაკობის სახლზე –ისრაელის თორმეტ ტომზე – საუკუნო (მარადიულ) სუფევას აღუთქვამს. მარადიული მხოლოდ ღმერთია, ხოლო „იაკობის სახლი“ უფლისმხილველი, მორწმუნე ერია, რომელიც სულით უფალთანაა შეერთებული.

ადამიანის გონებისათვის მიუწვდომელია ქალწულისაგან უმამაკაცოდ შობა. ღვთისმშობელი, რადგან ქალწულების აღთქმა ჰქონდა დადებული, იკითხავს: „ვითარმე იყოს ესე ჩემდა, რამეთუ მე მამაკაცი არა ვიცი?“ ანგელოზი მიუგებს: „სულიწმიდა? მოვიდეს შენზედა და ძალი მაღლისა გფარვიდეს“.

მარიამმა, როცა ყოველივე გამოწვლილვით გაიგო, დამორჩილდა, მიენდო უფალს და ღვთის ნებას თავისი ნება შეუერთა: „აჰა მხევალი უფლისა?, მეყავნ მე სიტყვისაებრ შენისა“. დამეყსეულად შევიდა სულიწმიდა ქალწულის შეუგინებელ ტაძარში.

რითი დაიმსახურა ქალწულმა მარიამმა ესოდენი მადლი ღვთისა, რომ ადამის მთელი მოდგმიდან სწორედ ის აირჩიეს ღვთის განხორციელების მსახურად? იმით, რომ იგი ყოველი სათნოებით იყო შემკული, რამდენადაც ეს ადამიანის ბუნებისთვისაა შესაძლებელი, და იყო ჭეშმარიტი ტაძარი ღვთისა. განსაკუთრებით აღნიშნავენ მის სიმდაბლესა და სიმშვიდეს – სწორედ ამ სათნოებათა გამოაირჩია იგი უფალმა.

რა იარაღითაც იღვაწა ეშმაკმა ჩვენი დაცემისათვის, იმავე იარაღით გვიხსნა ქრისტემ; თუ ევას საქციელმა ადამის მოდგმას ცრემლი მრავალგზის დაადინა, ქალწულმა მარიამმა უდიდესი სიხარული მოუტანა. ღვთისმშობლის ერთ-ერთი ეპითეტია „განმანათლებელი“, ნიშნად იმისა, რომ სიბნელეში მყოფ კაცობრიობას მის მიერ გამოუბრწყინდა მზე სიმართლისა და მორწმუნეთა გონება განანათლა.

ბზობა - უფლის დიდებით შესვლა იერუსალიმში

ბზობა, ბაიაობა — ქრისტიანული ეკლესიის ერთ-ერთი მთავარი საუფლო დღესასწაული. მოძრავია, აღინიშნება აღდგომის წინა კვირა დღეს. ქრისტიანული კულტის მსახურებაში ბზობის დღესასწაული IV საუკუნეში შემოვიდა (საწყისს იღებს ძველი ებრაული დღესასწაულიდან). მისი შინაარსი დაფუძნებულია სახარების მოთხრობაზე, რომელშიც გადმოცემულია იერუსალიმში პასექის დღესასწაულზე დასასწრებად იესო ქრისტეს შესვლის ამბავი. იესო ქრისტე სახედარზე ამხედრებული შედის იერუსალიმში, სადაც მას ეგებება ხალხი, რომელიც პალმის ტოტებს უფენს წინ შეძახილებით: „ოსანა! კურთხეულ არს მომავალი სახელითა უფლისაითა, მეუფე ისრაელისა?!“ (იოანე, 12,13). თითქოს და ქრისტიანობა დღესასწაულობს – ქრისტეს ეთაყვანება წმინდა ქალაქი, ხალხი აღტაცებით ხვდება მას. მაგრამ სულ მალე გახდება ცხადი, რომ ვისაც ელოდნენ, ის თურმე არ სჭირდებოდათ – ელოდნენ პოლიტიკურ ბელადს, ვინც მათ გაათავისუფლებდა მიწიერი მტრისგან - ოკუპანტი რომაელებისაგან, და არა გაცილებით საშიში მტრისგან – ეშმაკისაგან. ამიტომ, ბრბო, რომელიც დღეს იძახის: „ოსანა ძესა დავითისას“, ხვალ დაიძახებს: „ჯვარს აცუ ეგე“!

იერუსალიმში შესვლისას, იესო, პირველყოვლისა, ტაძრიდან გამოყრის ყველა მყიდველსა და გამყიდველს, ააყირავებს მეკერმეთა ტაბლებს და მტრედებით მოვაჭრეთა მერხებს. თანაც მკაცრად განმარტავს საკუთარი საქციელის მიზეზს: „ჩემი სახლი სალოცავ სახლად იწოდება; თქვენ კი ყაჩაღთა ბუნაგად გიქცევიათ იგი“ (მათე. 21:13). ამის შემდეგ იესო კურნავს უსინათლოებსა და ხეიბრებს.

ბზობის დღესასწაული სიმბოლოა, ერთი მხრივ, იესო ქრისტეს მესიის აღიარების, მეორე მხრივ – წინარესახეა ადამიანის ძის სამოთხეში შესვლისა. ის, რომ მაცხოვარი შედის ქალაქში ვირზე ამხედრებული, გულისხმობს მშვიდობის, და არა ომის, მოსურნეობას (სიმბოლურად ვირზე ამხედრება – მშვიდობის ნიშანია, ცხენზე – ომისა).

მწუხრის ლოცვაზე დამსწრე მორწმუნენი ბზებით, ყვავილებით და ანთებული სანთლებით ხელში, მიესალმებიან უხილავად იერუსალიმს მომავალ მაცხოვარს, როგორც ჯოჯოხეთისა და სიკვდილის დამთრგუნველს. ცისკრის ლოცვისას ბზის ტოტები, რომლებიც ხელში უჭირავთ მორწმუნეებს, იპკურებიან ნაკურთხი წყლით.

მართლმადიდებელი ქრისტიანები ნაკურთხ ბზის ტოტებს მთელი წელი ინახავენ და მათ ხატების მოსართავადაც იყენებენ.

მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომა

აღდგომა თორმეტ საუფლო დღესასწაულს შორის ყველაზე მნიშვნელოვანია. ამ დღეს ქრისტე მკვდრეთით აღსდგა და ადამიანები პირველქმნილი ცოდვისგან დაიხსნა. მხოლოდ ამის შემდეგ გაიღო ადამიანთათვის სამოთხის ბჭე. ადამის მოდგმის მხსნელად მოვლენილმა მაცხოვარმა გოლგოთას მთაზე ჯვართან ერთად კაცობრიობის ცოდვა ზიდა. ოთხივე სახარების თანახმად, ღმრთისმშობლისგან უბიწოდ შობილი ქრისტეს ჯვარცმა პარასკევს, ებრაელთა პასექის დღესასწაულზე აღესრულა. ეს უდიდესი მწუხარების დღეა ნებისმიერი მორწმუნისათვის. თუმცა მესამე დღეს – კვირას მწუხარებას სიხარული ენაცვლება და ქრისტიანები მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას ზეიმობენ.

ქრისტიანთა უდიდესი დღესასწაული – მაცხოვრის აღდგომა გაზაფხულზე, ახალი სტილით 4 აპრილსა და 8 მაისს შორის აღინიშნება. ეს უდიდესი მნიშვნელობის დღეა. ოთხივე სახარების თანახმად, ებრაელთა პასექზე, პარასკევ დღეს ქრისტე იერუსალიმში, გოლგოთაზე ჯვარს აცვეს. სამი დღის შემდეგ კი მაცხოვარი მკვდრეთით აღსდგა.

325 წელს ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრების გადაწყვეტილებით, დღესასწაულის თარიღის გამოთვლა გაზაფხულის ბუნიობის (დღისა და ღამის თანასწორობა) მიხედვით ხდება. ბუნიობის შემდეგ, სავსე მთვარის მომდევნო კვირას მორწმუნეები აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულს ზეიმობენ.

აღდგომას წინ ყველაზე დიდი და მძიმე მარხვა უსწრებს. დღესასწაულის შესახვედრად მორწმუნეები სულიერად ემზადებიან. განსაკუთრებული მნიშვნელობა ბოლო კვირას ენიჭება. აღდგომამდე ერთი კვირით ადრე ბზობ ა – ანუ ქრისტეს იერუსალიმში დიდებით შებრძანება იზეიმება. ორშაბათიდან კი ვნების კვირეული იღებს სათავეს.

ვნების კვირეულში თითოეული დღე გარკვეული მნიშვნელობის მატარებელია. განსაკუთრებით გამოყოფენ ხუთშაბათს – საიდუმლო სერობის დღეს, როდესაც მაცხოვარი ზიარების საიდუმლოს აწესებს და წითელ პარასკევს – ქრისტეს ჯვარცმის დღეს. ეს ყველაზე მძიმე დღეა თითოეული ქრისტიანისათვის. პარასკეობით წითლად ღებავენ კვერცხებს, რაც მაცხოვრის მიერ ჩვენთვის დაღვრილი სისხლის სიმბოლოა.

ვნების კვირეულის მძიმე დღეების დაგვირგვინებად კვირა – მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომის დღესასწაული იქცევა. დღე, რომელიც ნებისმიერი მორწმუნისათვის უდიდესი სიხარულის მომტანია.



აღდგომა და ქართული ტრადიციები

აღდგომა დიდ საუფლო დღესასწაულთაგან ერთ - ერთია, რომელსაც საქართველო და სრულიად საქრისტიანო განსაკუთრებულად ზეიმობს. გავრცელებული წარმოდგენით სწორედ მაცხოვრის აღდგომის ღამეს იერუსალიმის წმინდა მიწაზე ცხოველმყოფელი ცეცხლის გარდამოსვლაზეა დამოკიდებული კაცობრიობის ბედი.

აღდგომას საქართველოში ყოველთვის განსაკუთრებულად ზეიმობდნენ. სამზადისს აღდგომამდე რამდენიმე დღით ადრე იწყებენ. დიასახლისები სააღდგომო პასქებს აცხობენ, რაც გოლგოთის მთის სიმბოლოა, მთის, სადაც მაცხოვარი ჯვარზე აცვეს. სწორედ პარასკევ დღეს იღებენ კვერცხები წითლად, რაც ასევე მაცხოვრის ჯვარცმის სიმბოლოა.

გადმოცემით, წმინდა მარიამ მაგდალინელმა რომის იმპერატორ ტიბერიუსს აღდგომა ახარა და კვერცხი მიართვა. ტიბერიუსმა უპასუხა, მაგ კვერცხის გაწითლებას უფრო დავიჯერებ, ვიდრე მიცვალებულის აღდგომასო. ამ სიტყვებზე კვერცხმა ფერი შეცვალა. მას შემდეგ მორწმუნე ქრისტიანებში კვერცხის შეღებვა ტრადიციად იქცა.

ვნების პარასკევ დღეს, ანუ წითელ პარასკევს ტაძრებში მაცხოვრის ჯვრიდან გარდამოხსნის წესი სრულდება. ტრადიციულად იგი დღის 2 საათზე იწყება. ტაძრის შუაგული ჯეჯილით, წითელი კვერცხებით, პასქებითა და ყვავილებითაა მორთული. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ გარდამოხსნის წესი ყოვლადწმინდა სამების საპატრიარქო ტაძარში შეასრულა. გარდამოხსნა საკურთხევლიდან მღვდელმთავრებმა გამოაბრძანეს. მას შუაში პატრიარქი ედგა.

გარდამოხსნა ტაძრის შუაგულში მისთვის სპეციალურად მოწყობილ ადგილას დააბრძანეს. იგი ტაძარში არასრული სამი დღე დარჩება, რაც მაცხოვრის საფლავად ყოფნის სიმბოლოა.

რაც შეეხება სააღდგომო ტრადიციებს, იგი საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვანაირია.

საინტერესო რიტუალი ჰქონდათ ჩვენს წინაპრებს სამეგრელოში. აღდგომა დღეს განსაკუთრებული ქვევრის, ლაგვანისთავზე ბატკანს ან გოჭს კლავდნენ. აცხობდნენ ყველისა და კვერცხის პურის კვერებს. ოჯახის უფროსი დილიდანვე მარხულობდა, წყალს არ დალევდა და არც თამბაქოს მოწევდა. შუადღისას ხონჩაზე დააწყობდა ღორის გულ-ღვიძლს, მამლის თავს , კვერებს, საზედაშე ღვინოსა და ამ ყველაფერს საღმრთო საოხორო ქვევრის თავზე დაალაგებდა, მერე იმ ქვევრს თავს მოხდიდა და დაილოცებოდა.

სააღდგომო ტრადიციებს შორის გამორჩეული იყო ჭონა, რომელიც თავისი არსითა და ფორმით ძალიან ჰგავს ალილოს. აღდგომა დღეს რამდენიმე კაცი, რომელთაც მეჭონეებს ეძახდნენ, მთელს სოფელს ჩამოუვლიდა და სააღდგომო სიმღერით დღესასწაულს ულოცავდა, დიასახლისი კი მათ კვერცხებით, ტკბილი კვერებით, ხილითა და ფულითაც ასაჩუქრებდა. დღის ბოლოს შეგროვილ ხორაგს მთელი სოფლის ახალგაზრდობა შემოუსხდებო და დაილხენდა.

რაჭაში აღდგომა დილით წირვიდან დაბრუნების შემდეგ პურის ფაფას აკეთებდნენ, თონეში ლავაშებს აცხობდნენ. წირვის შემდეგ, მღვდელი თითოეულ ოჯახს ჩამოუვლიდა და აკურთხებდა. ახალი მიცვალებულის პატრონი სააღდგომოდ ცხვარს კლავდა, ცხვრის თავფეხს, ბარკალს, ლავაშს, შეკეციოლს ლანგარზე დაალაგებდა და მღვდელს შინ მიართმევდა. აღდგომის მეორე დღეს “გიორგონთობას” ზეიმობდნენ. აცხობდნენ ლობიანებს, შეკეციოლებს, ბოხჩუანებს, იხარშებო დახორციდაიყო დიდი სმა-ქეიფი.

ყოველ წელიწადს, აღდგომის დღესასწაულზე გურიაში ტრადიციული ლელო იმართებოდა. 16 კილოგრამიან ტყავის ბურთს სილითა და ნახერხით ავსებდნენ და აგუნას წვენს ასხამდნენ. აგუნა უძველესი წარმართული რიტუალიდან გადმოსული ღვინის დღესასწაულია, რომელიც დღეს მიივიწყეს. აგუნა შავი ღვინის, თაფლის, ბროწეულის წვენისა და კიდევ ერთი უცნობი ინგრედიენტის ნაზავია, რომელსაც მცირე რაოდენობით მოთამაშეებსაც ასმევდნენ – ძალისა და სიმხნევის მოსამატებლად.

კახეთში სააღდგომოდ ბატკანს კლავდნენ, ახალი მიცვალებულის პატრონები სასაფლაოზე გადიოდნენ და კვერცხს აგორებდნენ. სახლში აუცილებლად უნდა დაეკლათ ღორი. იშლებოდა დიდი სუფრა, მეზობლები ერთმანეთს ეპატიჟებოდნენ და ქეიფობდნენ. აცხობდნენ უხაშო კაკანტელებს და არიგებდნენ.

გვერდი მოამზადა დიანა ბერიძემ

ლელვამიწა და გვრიტ ცვმყარო

ზაფხულის უმთავარ ღამეში ყველა აღტაცებით შევყურებთ ვარსკვლავებით მოჭედილ ცას, ასევე შეჰყურებდა მას ძველი ადამიანი და განცვიფრებული იყო ვარსკვლავთა სიმრავლით, მათი დათვლა შეუძლებლად მიაჩნდათ. მართლაც, ძალიან ძნელია, რადგან ცა მთლიანი არასოდეს დაინახება დგომის ერთი წერტილიდან და თან მიწა ბრუნავს თავისი ღერძისა და მზის გარშემო, რაც აძნელებს ვარსკვლავების დათვლას.

ასტრონომებმა ცა დაანაწილეს ცალკეულ ნაკვეთებად, თითოეულ ნაკვეთში ვარსკვლავები საკმაოდ ზუსტად დაითვალეს. ამგვარად გამოირკვა, რომ ჩრდილო ნახევარსფეროში დაახლოებით 1500 ვარსკვლავია, ამდენივე სამხრეთში, სულ კი 3000. ამაზე ხომ უთვალავი არ ითქმის, პირიქით, ძლიერ მცირე რიხვია.



ეს შეუიარაღებელი თვალისათვის მისაწვდომი ვარსკვლავთა რაოდენობაა. მას შემდეგ, რაც XVII საუკუნეში დურბინდი, ხოლო შემდეგ ტელესკოპი გამოიგონეს, მდგომარეობა ერთიანად შეიცვალა, ტელესკოპით დანახულ ვარსკვლავთა რაოდენობა, მართლაც, უსასრულო აღმოჩნდა. თანაც მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება იმის მიხედვით, თუ როგორ მატულობს ოპტიკური იარაღების ძალა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ ეს უთვალავი ვარსკვლავები უწესრიგოდ როდი არიან ერთმანეთში არეული. ვარსკვლავთა სამყაროს კანონზომიერი სტრუქტურა აქვს და მეტად თუ ნაკლებად, მოწესრიგებული სისტემებისგან შედგება. კერძოდ, ძველი დროიდანვე ცნობილია, რომ ვარსკვლავებიან ცას კიდიდან კიდემდე გადაუყვება საკმაოდ ფართო ზოლი, რომელიც უფრო ნათელი ჩანს ვიდრე დანარჩენი ცა. მას რძეულ სარბიელს (ლათ. ვია ლაცტეალ) უწოდებენ, რადგან მისი ფერი რძისას მოგვაგონებს. მიწიერი დამკვირვებლისთვის რძეული სარბიელი- ეს არის გალაქტიკის ეკვატორული ზოლის ლანდი ცაზე. იგი დაკავშირებულია ვარსკვლავთა კანონზომიერ დაჯგუფებასთან ანუ სისტემასთან, რომელშიც 100 მილიარდამდე ვარსკვლავი შედის. ჯგუფის განლაგება რომ შემოვფარგლოთ ლინზისებურ სხეულს მივიღებთ, ამ ჯგუფს გალაქტიკას უწოდებენ, ხოლო შუა სიბრტყეს, რომელიც სიმეტრიულად ორად ჰყოფს გალაქტიკური სიბრტყე ანუ გალაქტიკის ეკვატორი ეწოდება. ცენტრიდან რომ ამ სიბრტყეზე პერპენდიკულარი გავატაროთ, ეს იქნება გალაქტიკის ღერძი.



გალაქტიკა იმდენად უზარმაზარია, შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ეს არის მთელი სამყარო. ასეც ფიქრობდნენ ერთ დროს. იმავე დროს ცნობილი იყო, რომ არის ცაზე უკიდურესად შორეული ბუნდოვანი ობიექტები, რომელნიც მართალია ანათებენ, მაგრამ შიგნით ცალკეული ვარსკვლავების ერთმანეთისგან გარჩევა ძნელია. მათ ნებულოზებს (ბურობებს) უწოდებენ. გასულ საუკუნეში გაირკვა, რომ ეს არის გალაქტიკები. ასეთი გალაქტიკების რიცხვსაც უკვე მილიონობით ანგარიშობენ.

ვარსკვლავები უზარმაზარი არიან, მაგრამ შეუდარებლად უფრო დიდია სივრცე ვარსკვლავებს შორის. ასევე გალაქტიკა იმდენად დიდია ვარსკვლავებზე, რომ მათი შედარებაც არ შეიძლება, მაგრამ მრავალჯერ დიდია სივრცე გალაქტიკებს შორის. ვარსკვლავთშორისს და გალაქტიკათშორისს სივრცეში ნივთიერება უფრო გაიშვიათებულია, ვიდრე ხელოვნურად მიღებულ საუკეთესო ვაკუუმში, მაგრამ ეს მაინც არ არის აბსოლიტური სიცარიელე. იქ არის უკიდურესად გაიშვიათებული გაზები, კოსმოსური მტვერი და უმცირესი ნაწილაკები. ვარსკვლავთშორისი და გალაქტიკათშორისი სივრცის შეფარდებითი სიდიდე ისეთია, რომ ამ ნივთიერების საერთო მასა ბევრით არ ჩამორჩება თვით ვარსკვლავებისას.

მზეც ერთ-ერთი ვარსკვლავია, ზომით საშუალო და ერთი მხრივ პატარაც. არის ისეთი ვარსკვლავები, რომლებიც მილიონჯერ და მეტად უფრო დიდია, ვიდრე მზე.

მზე გალაქტიკაში შედის არა ცალკეულად, არამედ როგორც ციური სხეულების მცირე ჯგუფის ცენტრი. ამ ჯგუფს მზის სისტემა ჰქვია. რომლის შემადგენლობაში შედის არა მარტო მზე, არამედ პლანეტები (ცთომილები), ასტეროიდები, კომეტები, მეტეორიტები და რაღა თქმა უნდა, ვარსკვლავთშორისი (ამ შემთხვევაში პლანეტადშორისი) ნივთიერებები.



მზეზე უკვე ცნობილია 66 ქიმიური ელემენტი. ეს ელემენტები მიწაზეც მოიპოვება, მაგრამ მათგან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს წყალბადს და ჰელიუმს. წყალბადი მთელი მზის მასის 54% შეადგენს, ჰელიუმი კი 45%-ს. ტემპერატურა მზის ზედაპირზე 6000°-ია, ხოლო ცენტრში 2 000 000°.

ჩვენთვის, მიწის მცხოვრებლებისთვის, მთავარი ის არის, რომ მზე უამრავ ენერგიას (სითბოს) ასხივებს გარშემო სივრცეში. მიწას მისი სრულიად უმნიშვნელო (10-17) ნაწილი მოსდის და ეს ნამცეციც კმარა იმისათვის, რომ ამოძრაოს მიწაზე ჰაერი და წყალი, ასაზრდოოს სოცოცხლე. მიწის 12 მეტრზე 1 წუთში დაცემული სითბო 200 გრამი ყინულის წყლის ასადუღებლად იკმარებდა.

მზის სისტემაში 9 პლანეტა შედის, ესენია: მერკური, ვენერა, დედამიწა, მარსი, იუპიტერი, სატურნი, ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. მზე ამ სისტემის ცენტრს წარმოადგენს და ბრუნავს თავის ღერძზე საათის ისრის საწინააღმდეგო მიმართულები. ერთ შემობრუნებას 25 დღე-ღამეს ანდომებს. პლანეტებიც თავისი ღერძის გარშემო ბრუნავენ და მიმოიქცევიან მზის გარშემო. ყველა პლანეტის ორბიტა (მოძრაობის გზა) დაახლოებით ერთ სიბრტყეში მდებარეობს, ამ მხრივ გამონაკლისს წარმოადგენს მხოლოდ პლუტონი, რომლის ორბიტის სიბრტყე 17°-იანი კუთხითაა დახრილი სხვა პლანეტების ორბიტების მიმართ. რაც უფრო ახლოსაა პლანეტა მზესთან, მით უფრო მეტია მისი მზის გარშემო მოძრაობის სიჩქარე. პლანეტებს, მეტ წილად, თან ახლავს თანამგზავრები: მიწას ერთი თანამგზავრი ჰყავს, იუპიტერს კი 12. ჩვეულებრივ თანამგზავრები პლანეტებზე გაცილებით პატარები არიან, მაგრამ დედამიწის თანამგზავრი უჩვეულოდ დიდია, ის მიწაზე მხოლოდ ორჯერ პატარაა. მთვარე ბრუნავს თავის ღერძზე და მიმოიქცევა მიწის გარშემო. მისი მოძრაობის პერიოდი 27 დღე-ღამე, 7 საათი, 43 წუთი და 11.5 წამია.

მიწისა და მთვარის ორბიტები დაახლოებით ერთ სიბრტყეშია. თუ მოხდა, რომ მთვარე მიმოქცევისას მიწასა და მზეს შორის მოექცევა, იგი მზეს დაფარავს მთლიანად ან ნაწილობრივ და მოხდება მზის დაბნელება, სრულად ან ნაწილობრივ. თუ პირიქით, მიწა მოექცევა მზესა და მთვარეს შორის , მიწის ჩრდილი მთვარეზე დაეცემა და მთვარის დაბნელებას გამოიწვევს, სრულს ან ნაწილობრივს. მთვარის დაბნელება მხოლოდ სავსე მთვარის პირობებში შეიძლება მოხდეს, ხოლო მზისა-ახალი მთვარის პერიოდში, რადგან პირველ შემთხვევაში მიწა მდებარეობს მზესა და მთვარეს შუა, ხოლო მეორე შემთხვევაში მთვარეა მოქცეული მიწასა და მზეს შუა.

პლანეტების გვერდით მზის სისტემაში შეიმჩნევა ბევრად უფრო პატარა სხეულები, რომელთაც ასტეროიდებს ან პლანეტოიდებს უწოდებენ. ისინი მზის გარშემო მიმოიქცევიან პლანეტებივით, მაგრამ მათი ორბიტები უფრო წაგრძელებული. სხვა პლანეტებისგან მათ უწესო, კუთხედი ფორმაც განასხვავებს, რაც მათი მცირე ზომით აიხსნება. დღეისათვის 1600-ზე მეტი ასტეროიდია ცნობილი, მაგრამ ვარაუდობენ, რომ მათი რაოდენობა 30 000-მდე აღწევს, ყველაზე დიდი ასტეროიდის ცერერის დიამეტრი კი –770 კმ-ს.

ყოველთვის დიდ ყურადღებას იპყრობდნენ კომეტები, ანუ კუდიანი ვარსკვლავები. კომეტა შედგება თავისგან და ერთი ან რამდენიმე კუდისგან. მანათობელი თავი შეიცავს მყარ ბირთვს და გაზის, მტვრის ან გაზ-მტვრის საბურველს მის გარშემო. მტვერ-გაზის კუდი კომეტს მზის მიახლოებისას უჩნდება და მისი სიგრძე შეიძლება არაერთ მილიონ კილომეტრს აღწევდეს.

ზოგი კომეტა პერიოდულია, როგორც მაგალითად გალეის კომეტა, რომელიც ყოველი 76 წლის შემდეგ უბრუნდება მზეს. არის კომეტები, რომლებიც გაივლიან მზის სისტემაში, მაგრამ უკან აღარ ბრუნდებიან. ასე რომ, გაურკვეველია წარმოშობით მზის სისტემას ეკუთვნიან თუ უცხო სტუმრები არიან, რომელთაგან ზოგი, როგორც გალეის კომეტა, მზეს დაუჭერია.

ბერინჯერის კრატერი
არიზონას შტატის ჩრდილოეთით.

უკეთაა შესწავლილი უფრო პატარა მეტეორიტები. პლანეტათშორისს სივრცეში უამრავი ასეთი სხეული მოძრაობს კოსმოსური სიჩქარით. თუ მიწას მოუახლოვდება და ატმოსფეროში შემოიჭრება, ჰაერი მის მოძრაობას წინააღმდეგობას გაუწევს, ძლიერი ხახუნი გამოიწვევს სხეულის გახურებას ისე, რომ იგი ნათებას იწყებს. ესაა ის რასაც ხალხი მოწყვეტილ ვარსკვლავს უწოდებს.

შედგენილობისა და სტრუქტურის მიხედვით მეტეორიტებს რამდენიმე ჯგუფად ჰყოფენ, მთავარი არის: რკინამეტეორიტები და ქვამეტეორიტები. პირველნი ნიკელნარევი რკინისაგან შედგებიან, მეორენი კი ამ მხრივ ფუძე მაგმეულ ქანებს უახლოვდებიან.

მიწაზე დაცემის ადგილზე მეტეორიტი, თავისი სიდიდის მიხედვით, ფოსოს ან ორმოს აჩენს, მაგრამ გიგანტური მეტეორიტების შემთხვევაში შესაძლებელია დიდი კრატერისებური რელიეფის წარმოშობაც.

მზისგან მეტნაკლები დაშორების მიხედვით პლანეტები სამ ჯგუფად იყოფა: შიგა პლანეტები-მერკურიდან მარსამდე, შუა პლანეტები-იუპიტერი და სატურნი, გარე პლანეტები-დანარჩენი. პლანეტების სიდიდე შუა პლანეტებიდან ორივე მიმართულებით კლებულობს.

მიწა, როგორც ერთ-ერთი შიგა პლანეტა, 149.5 მილიონი კილომეტრით არის მზისგან დაშორებული,ღერძზე მისი ბრუნვის პერიოდი არის ერთი დღე-ღამე (საშუალოდ 23 საათი, 56 წუთი, და 4.0905 წამი), ხოლო მზის გარშემო მიმოქცევის- 365.256 დღე-ღამე საშუალოდ.

მიწის ორბიტიც, რა თქმა უნდა, ელიპსურია და ამ ელიპსის ერთ-ერთ ფოკუსთაგანში იმყოფება. ამიტომ გასაგებია, რომ ამ ფოკუსის მახლობელ ორბიტის ნაკვეთზე არის ერთი წერტილი, რომელიც ორბიტის ყველა წერტილზე უფრო ახლოს მდებარეობს მზესთან (პერიჰელიუმი), ხოლო მეორე ფოკუსის მხარეზე იქნება მზისგან ყველაზე მეტად დაშორებული წერტილი (აფჰელიუმი). პერიჰელიუმში ყოფნისას, რაც 2–იანვრს ხდება, მიწა 4 800 000 კილომეტრით უფრო ახლოსაა მზესთან ვიდრე აფჰელიუმში ყოფლისას ივლისში. ამის გამო მზის რადიაცია იანვარში 7%-ით მატულობს.

მიწის ღერძი, რომ ორბიტის სიბრტყისადმი პერპენდიკულარული ყოფილიყო: მიწის მზისკენ მიქცეული მბრუნავი ზედაპირი მთელიწლის განმავლობაში პოლუსიდან პოლუსამდე იქნებოდა განათებული.

დედამიწა თავისი ორბიტის მიმართ დახრილია 23.5°-ით. მზის გარშემო მოძრაობისას იგი მუდამ ინარჩუნებს თავის მიმართულებას და პოლუსის ვარსკვლავისაკენ იყურება. ამის გამო დეკემბერში მიწის სამხრული პოლუსი მზისკენაა, მარტში კი-მიწის მარცხენა მხარე. ასევე ივნისში ჩრდილო პოლუსია მზისკენ და სექტემბერში მიწის მარჯვენა მხარე. შესაბამისად 22-ს დეკემბრს მზის სხივები შვეულად ეცემიან თხარქის ტროპიკზე, ამ დროს სამხრეთ პოლუსი განათებულია, ხოლო ჩრდილოეთ პოლუსსზე ჩრდილია(ზამთრის არდადეგი); 22-ს მარტს მზის სხივები შვეულია ეკვატორზე და შემხები ორივე პოლუსსზე (გაზაფხულის ბუნიობა); 22-ს ივნისს შვეულია კირჩხიბის ტროპიკზე და დამრეცი ჩრდილო პოლუსზე (ზაფხულის არდადეგი); 23-ს სექტემბრს ისევ შვეულია ეკვატორზე და შემხები ორივე პოლუსზე(შემოდგომის ბუნიობა); ამგვარად წარმოდგებიან წელიწადის დრონი ანუ სეზონები (გაზაფხული, ზაფხული, შემოდგომა, ზამთარი) რომელთა მიმდინარეობა ჩრდილო და სამხრულ ნახევარსფეროში ერთიმეორის საწინააღმდეგოა.

გოგიტა შაინიძე,
გეოგრაფიის სპეციალობის
II კურსის სტუდენტი

რედაქტორი:
იოსებ სანიკიძე

სპეციალისტი:
ნესტან მამუჭაძე



სარედაქციო კოლეგია:
ნანა ცეცხლაძე
ინგა შამილიშვილი
ნათია ნიკოლაშვილი
ნინო დოლიძე
მურმან გორგოშაძე
დავით ბარათაშვილი
გურამ ჩაგანავა
შოთა მამულაძე

გაზეთი დაიბეჭდა
გამომცემლობა
„სამშობლოში“
2 18 07 76; 5 99 95 31 90
მის.: ქ. თბილისი,
რობაქიძის 7